# ერთიან, ძმურ ოჯახში

## სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი 50 წლისაა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

20 აპრილი ხუთშაბათი 1972

ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან № 93 (15306)

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოგილოცავთ დღესასწაულს, ძვირფასო მეგობრებო!



# პირმშო დიადი მეგობრობისა

ნახევარსაუკუნოვანი ბრძოლის, შრომისა და სრულიად ახალი ცხოვრების მშენებლობის ნახევარი საუკუნე. დღეს სამხრეთ ოსეთი, — ეს ერთ-ერთიულამაზესი კუთხე საბჭოთა საქართველოსი, — აყვავებული მხარე თავისი ავტონომიის 50 წლისთავს აღნიშნავს. ნიშანდობლივია, რომ ეს ზეიმი დაემთხვა სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისათვის მზადებას; ფრიად მნიშვნელოვანია ისიც, რომ ეს იუბილე აღინიშნება განსაკუთრებულ ვითარებაში—მასობრივი აქტივობისა და შრომითი აღმავლობის ვითარებაში, რაც გამოწვეულია პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებით, მეცხრე ხუთწლედის რეალური გეგმებით.

ხალხთა ურღვევი მეგობრობა, რომლის ყველა სიკეთით ფართოდ სარგებლობენ სამხრეთ ოსეთის მშრომელნი, სოციალიზმმა წარმოშვა. ამ დიადი მეგობრობის, ლენინური პარტიის ეროვნული პოლიტიკის პირმშოა სამხრეთ ოსეთის ავტონომია. სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებელთა საერთო მწყობრში დგას სამხრეთ ოსეთი. დღევანდელი დღე, სამხრეთ ოსეთის აყვავებისა და სიჭაბუკის დღე იმის მკაფიო მაგალითია, რომ იგი მტკიცედ მიდის ხალხთა ლენინური თანამეგობრობის გზით.

ამ ახალმშენებლობათა მხარეში უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე მუშათა კლასის რიგები თითქმის რვაჯერ გაიზარდა; მისი სოფლის მეურნეობა მრავალდარგოვანი და უხვმოსავლიანი გახდა. ხალხთა მეგობრობის დროშით სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელებმა დიდი წარმატებები მოიპოვეს სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგში, რისთვისაც ოლქი ლენინის ორდენით დაჯილდოვდა.

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებამ საქართველოში, სამხრეთ ოსეთისათვის ფართო ავტონომიის მინიჭებამ შექმნა შესაძლებლობანი ეროვნული კადრების, სოციალისტური ინტელიგენციის შექმნისათვის, ახალი ადამიანის აღზრდისა და ჩამოყალიბებისათვის.

შინაარსით სოციალისტური და ფორმით ეროვნული ოსური კულტურა წარმოგვიდგება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამხრეთ ოსეთის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის, მწერლებისა და მსახიობების, კომპოზიტორებისა და მხატვრების, თვითმოქმედი მხატვრული კოლექტივებისა და გამოყენებითი ხელოვნების, ოსური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლ „სიმდის" სახით.

თავისი ავტონომიის ნახევარსაუკუნოვან იუბილეზე სამხრეთ ოსეთი მოვიდა მადლიერების გულწრფელი გრძნობით, რომელიც გამოწვეულია მძლავრი საბჭოთა სამშობლოს დიადი ერთიანობით, იმის ღრმა გაგებით, რომ მოძმე ხალხებს, უწინარეს ყოვლისა, აერთიანებს ოქტომბრის ცეცხლით შობილი დროშის წითელი ფერი — რევოლუციური განახლების დიადი სიმბოლო.

„ალბათ არ არის კაცი, — ამბობდა ლ. ი. ბრეჟნევი საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავზე, — რომელსაც ძვალ-რბილში არ ჰქონდეს გამჯდარი მამა-პაპათა მამულის, მშობლიური კულტურის, თავისი ენის, თავისი ტრადიციებისა და ზნე-ჩვეულებების სიყვარული. მაგრამ სოციალისტურ საზოგადოებაში ეს გრძნობა — სცილდება ეროვნული კუთვნილების საზღვრებს, ახალი შინაარსით ივსება".

და მართლაც, კომუნისტური პარტიის დიადი იდეალები, კეთილშობილური მიზნები ხალხებს აძმობილებს და ანათესავებს, ეს იდეალები ლენინური ინტერნაციონალიზმის დროშით, ურღვევსა და მარადიულს ხდიან ხალხთა ძმურ კავშირს. საერთო პატრიოტული აღფრთოვანებითა და შრომითი ენთუზიაზმით არიან გამსჭვალულნი ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს ხალხები.

ხალხთა მეგობრობა, რომელმაც შესაძლებელი გახადა სამხრეთ ოსეთის აყვავება, სოციალიზმის ერთ-ერთი უდიდესი მონაპოვარია, კომუნიზმისაკენ ჩვენი წინსვლის საიმედო საწინდარია.

მეორე ორმოცდაათწლეულს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელები მას იწყებენ შემოქმედებითი ძალ-ღონით აღვსილნი, მტკიცე რწმენით, რომ ყოველი წელი იმ გზაზე, რომლითაც ოლქი მიდის, მოუტანს მას ეკონომიკისა და კულტურის ახალ აყვავებას, ახალ წარმატებებს კომუნიზმის მშენებლობაში.

### დღეს ცხინვალში

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი 50

დღეს, 12 საათზე ცხინვალში საბჭოების სახლის სხდომათა დარბაზში გაიმართება საქართველოს კპ სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტისა და მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს გაერთიანებული საზეიმო სხდომა, მიძღვნილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნის 50 წლისთავისადმი.

# სამხრეთ ოსეთის შვილები



დაბა კვაისა საბჭოთა ხუთწლედების პირმშოა. აქ აშენდა ახალი სახლები. აინთო ილიჩის ნათურები. ირგვლივ შემოჯარულ მთებს უფრო მეტი შნო და ლაზათი მიეცა.

კვაისის მაღაროთსამმართველოს კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ალიხან ხუგაევი. იგი კვაისის სამთო საწარმოსთან ერთად დავაჟკაცდა, გამოიჩინა შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულება, თავდადებული შრომით დააწინაურა თავისი კომპლექსური ბრიგადა. ხალხის ნდობა და სიყვარული რომ დაიმსახურა, ა. ხუგაევი ამომრჩევლებმა საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოში წარგზავნეს დეპუტატად.

ახლა ა. ხუგაევი და მისი ბრიგადა ჩაბმული არიან სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში. ბრიგადა დღიურ დავალებებს დიდი გადაჭარბებით ასრულებს, შრომითი წარმატებებით ხვდებიან დღევანდელ ზეიმს — სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნის 50 წლისთავს.

სურათზე (მარცხნივ): კვაისის მაღაროთსამმართველოს კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ალიხან ხუგაევი.

სურათზე მარჯვნივ აღბეჭდილია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამხრეთ ოსეთის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის განყოფილების გამგე, ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი სოსლან გაბარაევი.

ლ. გუსოვის, ა. რუხაძისა და შ. პრიმაკის ფოტო.
(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

## დაე მარად ცოცხლობდეს და ჰყვაოდეს სსრ კავშირის ხალხთა ურღვევი ძმური მეგობრობა — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის დიადი მონაპოვარი!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდებებიდან.

## თქვენი დიდება ვინატრე

რევაზ ასაევი

თქვენთან მოვედი, თქვენს კართან
კვლავ ვდგები გაზაფხულივით,
სულ შუქად შემოემატა
ერთად ოცნების სურვილი.

იყოს მშვიდობა! სინათლე
გზებს გიკვალავდეთ ამიერ,
თქვენი სიცოცხლე ვინატრე;
და თქვენი მრავალჟამიერ!

მე თქვენი ბედნიერების
და სიხარულის წელი ვარ,
თქვენი დახნული მიწა ვარ,
თქვენი ფხიანი ცელი ვარ!

ბულბულის სტვენა-გალობის
უპირველესი ჰანგი ვარ,
თქვენს გზაზე თქვენის წყალობით
ია-ენძელად დავდივარ.

მე თქვენი ნაკადული ვარ,
ბუდე ვარ თქვენი მერცხლების,
წვიმა ვარ თქვენი ღრუბლისა,
ფესვებზე შემოგემცვრევით.

ხმა ვარ ჩანჩქერთა მსხვრევისა,
არწივად დაბადებული,
კვირტი ვარ განახლებისა, —
მზის ტოტზე თვალანთებული.

მე თავთუხების ღელვა ვარ,
ფრთები ვარ თქვენი ოცნების,
თქვენი იმედის ელვა ვარ,
ზეცას ქუხილად მოვწყდები.

თქვენი ვენახის ლერწი ვარ,
შაქრად ქცეული მტევანი,
მაჭრის ცინცხალი წვეთი ვარ,
თქვენს ქვევრში დაუტევარი;

ცეცხლი ვარ გარიჟრაჟისა,
ცრემლი ვარ წყაროს თვალისა,
შუქი ვარ ბრძნული აზრისა,
ნატვრა ვარ მომავალისა.

შრომაში შრომის ჰანგი ვარ,
ომში ბუკი და ნაღარა,
მე თქვენი სიზმარ-ცხადი ვარ
და თქვენი წმინდა ჰაღარა.

მე მწყემსის სალამური ვარ,
აკვნის ნანა ვარ წკრიალა,
მე თქვენი თბილი პური ვარ,
და თქვენი რწმენის ფიალა.

შინმოუსვლელთა სუნთქვა ვარ,
სხივი ვარ მათი გზნებისა,
ვარ მათი ხვეწნა-მუდარა
და ცეცხლი უკვდავებისა.

ვარ კურთხეული სიმღერა
თქვენი ნათელი გზებისა,
ნატვრა ვარ ასახდენელი
კეთილი წინაპრებისა.

თქვენი ვარ, თქვენი ჯიშის ვარ,
თქვენი გულის და სახისა,
ხალხისა ვარ და ვიქნები,
სისხლი ვარ ჩემი ხალხისა.

თქვენთან მოვედი, თქვენს იქეთ
სხვა გზა არა მაქვს ამიერ,
თქვენი დიდება ვინატრე
და თქვენი მრავალჟამიერ!

მ. ფოცხიშვილის თარგმანი.



საბჭოების სახლი ქ. ცხინვალში.

შ. ალბოროვის ფოტო.

### კეთილი გულით ნათქვამი

# მოგესალმებით

მოგესალმებით, ძვირფასო მეგობრებო, საბჭოთა სამხრეთ ოსეთის მშრომელებო დღეს, როდესაც დიდი სიხარულით ვზეიმობთ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნის 50 წლისთავს და ამ ხანში თქვენს მიღწევებს. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში შეეძლო ასეთი ბრწყინვალე ნაყოფი გამოეღო თქვენს შრომისმოყვარეობას და თქვენს შემოქმედებითს ნიჭს. გისურვებთ კიდევ მეტ წარმატებებსა და მიღწევებს სახალხო მეურნეობის ყოველ დარგში და სულიერი კულტურის ამაღლებაში. გისურვებთ გესახელებინოთ ოსი ხალხი მეცნიერებისა და ტექნიკის დაუფლება-განვითარებით.

უალახიზ უად სოვეთონ ხუსარ ირისთონი ფალოიგენჯითა. გაუმარჯოს საბჭოთა სამხრეთ ოსეთის მშრომელებს!

აკადემიკოსი
გიორგი ახვლედიანი.

# სიყვარულს უშენებია

საიუბილეო ზეიმია საბჭოთა სამხრეთ ოსეთში.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ ოსი ხალხი თავისუფალი და ბედნიერი ცხოვრების მშენებლობის გზაზე გამოიყვანა, უზრუნველყო მხარის სახელმწიფოებრივ, პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ ცხოვრებაში ძირეულ გარდაქმნათა განხორციელება. ყველაფერი რაც კარგია ჩვენს ქალაქებსა და სოფლებში ძმობას, მეგობრობასა და სიყვარულს უშენებია.

მე ბევრი საერთო მაქვს ოს ხალხთან. მათ უკვე მეორედ წარმგზავნეს ჩვენი ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში — ამირჩიეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

გისურვებთ წინსვლასა და შრომით გამარჯვებებს ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ!

სიმონ ხეჩინაშვილი,
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი,
ლენინური პრემიის ლაურეატი.

# მუდამ ერთად

საბჭოთა სამხრეთ ოსეთი 50 წლისაა. მოკლე ხნის განმავლობაში ნიჭიერმა ოსმა ხალხმა თავისი შემოქმედებითი ენერგია სასახელოდ გამოავლინა მრავალ სფეროში. მე, ქართველ პოეტს დიდად მახარებს ახალი ოსური კულტურის ასეთი განვითარება და აყვავება. მახარებს წარმატება ოსი თანამოკალმეებისა, რომლებიც ღირსეულად აგრძელებენ იმ ტრადიციებს, რაც ოსურ მწერლობას დაუსახა დიდმა კოსტა ხეთაგუროვმა: მეგობრობის, კაცთმოყვარეობის, სიცოცხლის ნათელი იდეალები ამშვენებდა შესანიშნავ ოსურ ხალხურ ეპოსს, და ეს იდეალები ჩვენს თვალწინ პოულობს ხორცშესხმას. ოსი მკითხველი ახლა თავის ენაზე კითხულობს მსოფლიო ლიტერატურის შედევრებს. ხოლო სხვა ენებზე ეცნობიან ოსურ მწერლობას.

ჩვენ, ქართველები და ოსები საუკუნეთა მანძილზე ჭირსა და ლხინში ერთად ვყოფილვართ და ახლაც ერთმანეთის მხარდამხარ ვიღვწით, ვაშენებთ დიდებულ მომავალს — კომუნიზმს.

ბევრი ოსური წიგნი ითარგმნა ქართულად. ბევრ ქართულ წიგნს ოსურად კითხულობენ ჩვენი გულითადი მეზობლები, და დღეს საერთო ზეიმზე მიზნად უნდა დავისახოთ, რომ უფრო აქტიურად, ინტენსიურად გავაცნოთ ერთმანეთს ჩვენი სულიერი ფასეულობანი, ჩვენი კლასიკური და თანამედროვე მონაპოვრები.

ეს არის ჩვენი პოეტების საიუბილეო სიტყვა და საქმე.

რევაზ მარგიანი.

# საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

19 აპრილს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ვ. პ. მჟავანაძემ მიიღო რესპუბლიკაში მყოფი მოსკოვის ოლქის რამენსკოეს რაიონის მშრომელთა დელეგაცია, რომელიც საქართველოს გორის რაიონს ეჯიბრება, და ესაუბრა დელეგაციის წევრებს. მიღებაზე იყვნენ სკკპ რამენსკოეს საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ფ. ზოლოტარიოვი, რამენსკოეს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის მდივანი თ. ა. ლავრეშინა, რამენსკოეს მანქანათსაშენებლო ქარხნის დირექტორი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი ს. ზ. ზელენკოვი და რამენსკოეს რაიკოოპკავშირის დამამზადებელი კანტორის დირექტორი ვ. ა. კულკოვი. მათ ახლდნენ საქართველოს კომპარტიის გორის რაიკომის პირველი მდივანი რ. ა. გზირიშვილი, გორის რაიონის მშრომელთა დეპუტატების აღმასკომის თავმჯდომარე ზ. ს. გოცირიძე და საქართველოს ალკკ გორის რაიკომის მდივანი ნ. ა. ჩიხლაძე.

ვ. პ. მჟავანაძემ სტუმრებს უამბო, რომ რესპუბლიკის მშრომელებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი წარმატებით დაამთავრონ მეცხრე ხუთწლედის მეორე წელი მრეწველობაში, სოფლის მეურნეობასა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში. მან თქვა, თუ რა ნაყოფიერ გავლენას ახდენს სოციალისტური შეჯიბრება საბჭოთა ხალხის ცხოვრების ყველა მხარეზე, ხალხისა, რომელიც ახორციელებს სკკპ 24 ყრილობის დიდებულ წინასწარდასახულობებს. ამ შეჯიბრებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ახლა, როცა ჩვენი დიადი სამშობლოს ყველა ხალხი ემზადება ღირსეულად შეხვდეს დიდმნიშვნელოვან თარიღს — სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს.

დელეგაციის ხელმძღვანელმა ვ. ფ. ზოლოტარიოვმა ილაპარაკა რამენსკოეს რაიონის მშრომელთა წარმატებებზე და გულთბილი მადლობა გადაიხადა მიღებისათვის.

საუბარში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი ა. ნ. ჩურკინი და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი შ. ი. მანჩხავაძე. (საქინფორმი).

# გამარჯობათ, მოლდაველო ძმებო!

სსრკ 50

**საქართველოს** დედაქალაქ თბილისში გრძელდება საბჭოთის მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქების მეგობრობის დღეები. მოძმე აზერბაიჯანისა და სომხეთის წარმომადგენლების შემდეგ თბილისში გულმხურვალედ ხვდებიან მზიური მოლდავეთის წარმოგზავნილთ.

დელეგაციის შემადგენლობაში არიან კიშინიოვის ვ. ი. ლენინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სსრ კავშირის ისტორიის კათედრის გამგე, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი ა. რეპიდა, კიშინიოვის სერგეი ლაზოს სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მექანიკის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი ვ. მუსტიაცა და კინომცოდნე ვ. ანდონი. ძვირფას კიშინიოველ სტუმრებს გულთბილად შეხვდნენ 26 კომისრის სახელობის რაიონის მშრომელნი. „გამარჯობათ, ძვირფასო მოლდაველო ძმებო", ამბობდნენ შემხვედრნი.

18 აპრილს კიშინიოვის მშრომელთა წარმოგზავნილებმა დაათვალიერეს ქალაქი, იყვნენ საქართველოს მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა მთაწმინდის პანთეონში. ნაშუადღევს მოლდავეთის წარმომადგენლები ეწვივნენ 26 კომისრის სახელობის რაიონის მთელ რიგ საწარმოებს.

სამრეწველო საწარმოთა კომბინატის „საქჰიდროენერგომშენის" კოლექტივის შეხვედრა ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატთან ვ. მუსტიაცასთან გახსნა საწარმოს პარტკომის მდივანმა ვ. თაყნიაშვილმა. დიდი ყურადღებით მოისმინეს მოლდაველი მეცნიერის ნაამბობი მოლდავეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ეკონომიური განვითარების შესახებ.

„საქტანსაცმელვაჭრობის" რესპუბლიკური ბაზის მოსამსახურეებმა ინტერესით მოისმინეს კინომცოდნის ვ. ანდონის გამოსვლა, რომელმაც ილაპარაკა მოლდავეთის კინოხელოვნებაზე, აგრეთვე ისტორიკოსის ა. რეპიდას მოხსენება თემაზე: „მოლდავეთი სსრ კავშირის ხალხთა ძმურ ოჯახში".

ვ. მუსტიაცა ეწვია მარმელადის ფაბრიკის „საამოს" კოლექტივს, ვ. ანდონი შეხვდა კერამიკული კომბინატის მუშაკებს, ა. რეპიდამ ბევრი რამ საინტერესო აცნობა ცხიმკომბინატის მუშებს.

19 აპრილს დილით მოლდაველი სტუმრები კვლავ ეცნობოდნენ თბილისის ღირსშესანიშნაობებს.

— ბევრი რამ შეცვლილა 30 წლის მანძილზე თქვენს ძველ, მაგრამ მუდამ ახალგაზრდა ქალაქში, — ამბობს ათანასე ვასილის ძე რეპიდა. რამდენი ახალი რაიონი, პროსპექტი, სახლი აგიგიათ. ამას ვერც კი წარმოვიდგენდი, როცა თბილისიდან ფრონტზე მივდიოდი ჰოსპიტალში გამოჯანმრთელების შემდეგ 1942 წელს. როცა თბილისში მოვხვდი 1968 წელს, ქალაქში ბევრი სასიამოვნო ცვლილება შევნიშნე, დასძენს კინომცოდნე ვიქტორ დავითის-ძე ანდონი.

სტუმრებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალმა კორპუსმა. საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის არქიტექტურულმა ანსამბლმა. კიშინიოველები გაეცნენ რსდმპ ამიერკავკასიის კომიტეტის ავლაბრის არალეგალური სტამბის სახლ-მუზეუმს, დატკბნენ „ძველი" თბილისის პანორამით მეტეხის ციხის სამზერი ბაქნიდან.

ნაშუადღევს დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხანაში გაიმართა ლექტორის დღე. საწარმოს საამქროებში წაიკითხეს მთელი რიგი ლექციები, მოეწყო საუბრები მოლდაველი ხალხის წარსულისა და აწმყოს შესახებ, ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურის, მეცნიერების, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარებაში მისი მიღწევების შესახებ. დიმიტროველებისათვის საინტერესო იყო ცნობა, რომ მარტო გასულ ხუთწლედში მოლდავეთმა აითვისა 250 სახელობის ახალი სამრეწველო პროდუქციის გამოშვება, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი თავისი ტექნიკურ-ეკონომიური და საექსპლოატაციო მონაცემებით საუკეთესო საბჭოური და საზღვარგარეთული ნიმუშების დონეზეა, ხოლო საწარმოებში ახალი ტექნიკის დანერგვის ეკონომიური ეფექტი ოცდაათ მილიონ მანეთს აღემატება.

საღამოს ა. რეპიდა, ვ. მუსტიაცა და ვ. ანდონი იყვნენ თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიურ თეატრში ბალეტ „ჰამლეტის" წარმოდგენაზე. (საქინფორმი).

ნორჩ ფიზიკოსთა VI საკავშირო ოლიმპიადა დამთავრდა

# ტალანტების ოლიმპიადა

**თბილისში** დამთავრდა ნორჩ ფიზიკოსთა VI სრულიად საკავშირო ოლიმპიადა. ნორჩ ფიზიკოსთა VI სრულიად საკავშირო ოლიმპიადის (თავმჯდომარე აკადემიკოსი ე. ანდრონიკაშვილი) დასკვნით ტურში მონაწილეობდა 561 მოსწავლე. 57 ნორჩ ფიზიკოსს მიეკუთვნა პირველი, მეორე და მესამე ხარისხის დიპლომები. 81-ს კი სიგელები. 156 ბავშვმა წარმატებით ამოხსნა თეორიული ამოცანები. გამარჯვებულებმა 100 პროცენტით შეასრულეს დავალება, მეორე ხარისხის დიპლომების მფლობელებმა — 98 პროცენტით.

ამგვარი ოლიმპიადების დამახასიათებელი თავისებურება ის არის რომ მათში არიან გამარჯვებულნი, მაგრამ არ არიან დამარცხებულნი, ვინაიდან ოლიმპიადის თვითეულმა მონაწილემ რაღაც ახალი რამ შეიძინა საყვარელი მეცნიერების დარგში, მოსინჯა საკუთარი შესაძლებლობანი ამ მეცნიერებაში.

ოლიმპიადის დასკვნითი ეტაპის წარმატება უზრუნველყო რესპუბლიკის განათლების სამინისტროს, საქართველოს პარტიული და საბჭოთა ორგანოების დიდმა ყურადღებამ.

17 აპრილს თბილისში რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გაიმართა ნორჩ ფიზიკოსთა მეექვსე სრულიად საკავშირო ოლიმპიადის საბოლოო სხდომა. იგი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ განათლების მინისტრმა ამხ. თ. ლაშქარაშვილმა. მან მიულოცა გამარჯვებულებს.

ნორჩ ფიზიკოსთა VI სრულიად საკავშირო ოლიმპიადის მონაწილე მერვეკლასელთა შორის პირველი ხარისხის დიპლომის მფლობელი გახდა ოლიმპიადის ყველაზე ნორჩი მონაწილე, მოსკოვის ოლქის ქალაქ მონინოს ერთ-ერთი საშუალო სკოლის მეშვიდეკლასელი სერიოჟა კორშუნოვი, რომელსაც გადაეცა სსრ კავშირის განათლების სამინისტროსა და ჟურნალ „პიონერის" პრიზი, როგორც ფინალის ყველაზე ნორჩ მონაწილეს. მერვეკლასელთა შორის გაიმარჯვა აგრეთვე მოსკოვის № 2 ფიზიკურ-მათემატიკური სკოლის მოსწავლემ მიტია ტოპტიგინმა.

მეცხრეკლასელ ნორჩ ფიზიკოსთა შორის საუკეთესო იყო ლენინგრადის ერთ-ერთი საშუალო სკოლის მოსწავლე ანდრია უმაკოვი. ქალაქ დნეპროპეტროვსკის № 23 საშუალო სკოლის (ფიზიკის მასწავლებელი დ. შულომოვიჩი) მეათე კლასის მოსწავლემ სერგი ლიაგუშინმა მიიღო პირველი ხარისხის დიპლომი როგორც ოლიმპიადაში გამარჯვებულმა ჩვენი ქვეყნის მეათეკლასელთა შორის. მანვე მოიპოვა ყველაზე მეტი პრიზი: სსრ კავშირის განათლების სამინისტროს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პრიზები. აღსანიშნავია რომ სერგი ლიაგუშინი წევრია მთლიანად ერთი სკოლის მოსწავლეებისაგან შემდგარი ერთადერთი გუნდისა. მისასალმებელია, რომ ამ გუნდის ყველა წევრი ესოდენ წარმომადგენლობითი კონკურსის ფინალში გავიდა და ყველანი გამარჯვებულთა შორის აღმოჩნდნენ.

გოგონათა შორის სიგელებით დაჯილდოვდნენ მეათეკლასელი ოლია მელნიკოვა (კუიბიშევი), მერვეკლასელი ტანია ზაბროდსკაია (სემიპალატინსკი) და მერვეკლასელი ოლია ვოინოვა (დაბა კოგითეგირმენი, ყირგიზეთი). მას გადაეცა თბილისის ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის პრიზი, როგორც ოლიმპიადის ყველაზე ნორჩ მონაწილე გოგონას.

დასკვნით ტურში ურიგოდ როდი გამოვიდნენ საქართველოს ნორჩი ფიზიკოსებიც. მესამე ხარისხის დიპლომი, აგრეთვე სსრ კავშირის განათლების სამინისტროს სპეციალური პრიზი ექსპერიმენტულ ტურში მოპოვებული წარმატებებისათვის გადაეცა თბილისის № 43 საშუალო სკოლის მეათე კლასის მოსწავლე კონსტანტინე აგლაძეს, რომელიც პირველად მონაწილეობდა ჩვენი ქვეყნის ნორჩ ფიზიკოსთა ოლიმპიადაში.

ოლიმპიადის დასკვნით ტურში წარმატებული მონაწილეობისათვის სიგელები მიეკუთვნათ თბილისის კომაროვის სახელობის ფიზიკურ-მათემატიკური სკოლა-ინტერნატის მოსწავლეებს მ. დრაჩინსკის, ლ. მიდოდაშვილს, ა. ჟუჟუნაშვილს, მ. მამუკაშვილს, აგრეთვე თბილისის № 42 ფიზიკურ-მათემატიკური სკოლის მოსწავლეს მ. მარგველაშვილს.

გამარჯვებულებს მიესალმა ოლიმპიადის მომწყობი ცენტრალური საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ვ. პონომარიოვი.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. პატიაშვილი, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლებლების განყოფილების გამგე თ. ჩერქეზია.

# ფიზიკური აღზრდის საფუძველი

## ყურადღების ცენტრშია „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის თავდაცვისათვის" კომპლექსი

**ყოველი** საბჭოთა ადამიანი უნდა იყოს ჰარმონიულად განვითარებული პიროვნება, სულით ხორცამდე ძლიერი. ამას ხელს უწყობს მშთ ახალი კომპლექსი, რომლის შესახებ დაწვრილებითი საუბარი მიმდინარეობდა 18 აპრილს ფიზკულტურისა და სპორტის მუშაკთა რესპუბლიკური აქტივის კრებაზე. იგი მოიწვია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა.

კრება გახსნა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ვ. ბალავაძემ. მოხსენება მშთ ახალი კომპლექსისა და რესპუბლიკაში ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის ამოცანების შესახებ გააკეთა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარემ გ. სიხარულიძემ.

თავის გამოსვლაში მომხსენებელი შეეხო მშთ ახალი კომპლექსის შემოღებასთან დაკავშირებულ საკითხებს. რაც ფიზიკური აღზრდის საბჭოთა სისტემის საფუძველია. 1932 წელს დამტკიცებულმა მშთ წინანდელმა კომპლექსმა უდიდესი როლი შეასრულა სოციალისტური საზოგადოების მშენებელთა აღზრდის საქმეში. მან სპორტში ჩააბა ქალიშვილებისა და ჭაბუკების მასები, რომლებიც შემდგომში ცნობილი სპორტსმენები გახდნენ. მაგრამ საბჭოთა საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე მისი მოთხოვნები არ შეესაბამებიან ქვეყანაში ფიზიკური აღზრდის გაზრდილ ამოცანებს. მშთ ახალმა კომპლექსმა ხელი უნდა შეუწყოს ფიზიკური კულტურის ფართოდ დანერგვას საბჭოთა ხალხის ყოფა-ცხოვრებაში. მომხსენებელი შეეხო რესპუბლიკაში სპორტული მოძრაობის წარმატებებსა და ნაკლოვანებებს. საქართველოში შექმნილია ახალი ფიზკულტურული კომპლექსის რესპუბლიკური საბჭო, რომელშიც შევიდნენ საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის პროფსაბჭოს, არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების, განათლების სამინისტროსა და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები. შექმნილია ცენტრები, სადაც შაბათობითა და კვირაობით წარმოებს მშთ ნორმების ჩაბარება.

საქართველოს სპორტული საზოგადოებრიობა კმაყოფილებით გამოეხმაურა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს ამასწინანდელ დადგენილებას „მშთ ახალი სრულიად საკავშირო ფიზკულტურული კომპლექსის შემოღების ღონისძიებათა შესახებ".

იმაზე, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მშთ კომპლექსს, თავიანთ გამოსვლებში ილაპარაკეს საქართველოს პროფსაბჭოს მდივანმა ო. ცანავამ, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ნ. ფოფხაძემ, რესპუბლიკის განათლების მინისტრმა თ. ლაშქარაშვილმა, რესპუბლიკის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრის პირველმა მოადგილემ ზ. ფორაქიშვილმა, თბილისის ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარემ გ. შარაშიძემ, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა გ. ზხვაცაბაიამ, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილემ ლ. ქავთარაძემ და სხვებმა.

კრებამ მიიღო მიმართვა რესპუბლიკის ფიზკულტურელებისა და სპორტსმენებისადმი, მთელი მოსახლეობისადმი.

აქტივის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. პატიაშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. სირაძე. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლებელთა განყოფილების გამგე თ. ჩერქეზია. (საქინფორმი).

## განიხილავენ ყრილობის შედეგებს

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა, რომ მოეწყოს პროფკავშირთა რესპუბლიკური და საოლქო საბჭოების პლენუმები, რომლებზეც განიხილავენ სსრ კავშირის პროფკავშირთა XV ყრილობის შედეგებსა და რესპუბლიკის პროფკავშირულ ორგანიზაციათა ამოცანებს.

გადაწყვეტილია პროფკავშირულ კლუბებში, კულტურის სახლებსა და სასახლეებში, ბიბლიოთეკებსა და წითელ კუთხეებში მოეწყოს ლექციასაუბრები სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვაში აღძრულ პრობლემებზე, კითხვა-პასუხის საღამოები, ზეპირი ჟურნალები და ყრილობის მასალების შესახებ ლიტერატურული გამოფენები.

ყრილობის დელეგატებს დაევალათ მუშა-მოსამსახურეთა კრებებზე გააკეთონ მოხსენებანი პროფკავშირთა XV ყრილობის შედეგების შესახებ.

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა დარგობრივ პროფკავშირთა რესპუბლიკურ კომიტეტებს განაზოგადონ მუშებისა და მოსამსახურეების ყველა წინადადება, შეავსონ და გააფართოონ პროფკავშირულ ორგანიზაციათა მუშაობის გეგმები სსრ კავშირის პროფკავშირთა XV ყრილობის დადგენილების გათვალისწინებით. (საქინფორმი).

# მსოფლიო დღეს

## კეთილი ნების დადასტურება

[illegible]

## შეწყდეს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დაბომბვა!

[illegible]

...ალმდეგ, რომ ამერიკის თვითმფრინავები თავს დაესხნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სატვირთო გემს „გალბერშტადტს" ჰაიფონის ნავსადგურში.

**ბელგრადი.** იუგოსლავიის მთავრობა დიდად შეშფოთებული და შეწუხებულია ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დაბომბვის გაფართოებით, ნათქვამია იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის განცხადებაში. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მთლიანად უნდა შეწყვიტოს დაბომბვა. მოვლენების ახლანდელი განვითარება მოითხოვს პარიზის მოლაპარაკების უთუო განახლებას.

**ფხენიანი.** კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა და მთელი კორეელი ხალხი გადაჭრით გმობენ ამერიკის იმპერიალიზმის სამხედრო ავანტიურას ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ, მთლიანად და სავსებით უჭერენ მხარს ვიეტნამელი ხალხის მტკიცე პოზიციას. კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა დაჟინებით მოითხოვს, რომ ამერიკამ დაუყოვნებლივ შეწყვიტოს, განაცხადა ინდოეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სვარან სინგჰმა. ეს დაბომბვა, თქვა მინისტრმა, ვერ გატეხს გმირი ვიეტნამელი ხალხის ნებას. სვარან სინგჰმა ინდოეთის მთავრობის სინანული გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უარი თქვა პარიზის მოლაპარაკების განგრძობაზე.

**ვაშინგტონი.** სენატორმა ე. კენედიმ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დაბომბვა დაახასიათა როგორც „საშიში უმიზნო და გაუმართლებელი". მან მოითხოვა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები კვლავ მიუჯდეს პარიზის მოლაპარაკების მაგიდას და დააწესოს ინდოჩინეთიდან მთელი თავისი ჯარების გაყვანის კონკრეტული თარიღი.

აგრესიის ესკალაციის წინააღმდეგ გაილაშქრა ბევრმა საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ. ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტურმა პარტიამ თავის განცხადებაში გამოთქვა მტკიცე პროტესტი ჰაიფონისა და ჰანოის დაბომბვის წინააღმდეგ და ყველა პატიოსან ამერიკელს მოუწოდა გააძლიეროს ბრძოლა ვიეტნამის ომის შეწყვეტისათვის. (საკდესი).

## აგრესორებს უტევენ

**ჰანოი. 18 აპრილი. (საკდესი).** როგორც ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო იუწყება, ჰაიფონის, თხანხოისა და ნგეანის პროვინციების სანაპირო ბატარეებმა 16 და 17 აპრილს დააზიანეს 5 ამერიკული სამხედრო ხომალდი. 6-დან 16 აპრილამდე საჰაერო თავდაცვის ნაწილებმა ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ჩამოაგდეს ამერიკის შეერთებული შტატების 42 თვითმფრინავი.



**ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა.** ამერიკელი იმპერიალისტები სულ ახალ და ახალ დანაშაულს სჩადიან ჩრდილოეთ ვიეტნამის მოსახლეობის წინააღმდეგ. ამერიკის შეერთებული შტატების ავიაცია რეგულარულად ბომბავს და ცეცხლს უშენს კუანგბინის, ხატინისა და ნგეანის პროვინციების მჭიდროდ დასახლებულ რაიონებს, აგრეთვე ვინლინის ზონას. ვიეტნამის სახალხო არმიის მეზენიტეები ამ პროვინციებში გმირულად იგერიებენ ამერიკის ავიაციის თავდასხმებს.

**სურათზე:** ნგეანის პროვინციის თავდაცვის რაზმის მეზენიტეთა ქვეგანაყოფი ცეცხლის ხაზზე.

ვია-საკდესის ფოტო.

ვაშინგტონი

## კრიტიკის ქარცეცხლში

**18 აპრილი. (საკდესი).** როცა სენატის საგარეო საქმეთა კომისიაში იხილავდნენ საიგონის რეჟიმის „დასახმარებლად" დამატებითი ასიგნების მიცემის საკითხს, სენატორებმა სახელმწიფო მდივანს როჯერსს მისცეს მთელი რიგი კითხვები, რომლებიც ეხებოდა ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაზე შეერთებული შტატების ავიაციის მასირებული თავდასხმების განახლებას.

როჯერსმა სცადა გაემართლებინა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ქალაქების დაბომბვა სამხრეთ ვიეტნამში მყოფი „ამერიკის შეიარაღებული ძალების დაცვის" საბაბით. ამაზე სენატორმა ფულბრაიტმა განაცხადა: ვერავითარ ნიშანს ვერ ვხედავ, რომ ამერიკის ჯარებს, რომლებიც ჯერ კიდევ ვიეტნამში არიან, დიდი საშიშროება მოელით. ფულბრაიტის კითხვაზე, თუ რატომ არ მოეთათბირა მთავრობა კონგრესს, როცა დაიწყო დაბომბვის ესკალაციის ახალი რაუნდი, როჯერსმა თავი აარიდა პასუხს არსებითად და მოიმიზეზა ოპერაციის საიდუმლოება.

როჯერის „არგუმენტების" სრული უსაფუძვლობა დაამტკიცა სენატის კომისიის თავმჯდომარემ ფულბრაიტმა. ამ ბოლო ექვსი წლის განმავლობაში, თქვა მან, შეერთებული შტატები „ანადგურებს ჩრდილოეთ და სამხრეთ ვიეტნამს, ლაოსსა და კამბოჯას". სენატორმა თქვა, რომ ჰაიფონისა და ჰანოის გარეუბნების დაბომბვის შესახებ გადაწყვეტილებას შეიძლება სერიოზული შედეგები მოჰყვეს. „პირდაპირ არ მესმის, — განაცხადა ფულბრაიტმა, — რა ეროვნულ ინტერესებს უნდა ემსახურებოდეს ამგვარი სამხედრო აქციები".

ჩრდილოეთ ვიეტნამის ტერიტორიების დაბომბვის განახლება დაგმო სენატორმა ჩერჩმა. მან თქვა, რომ ასეთ მოქმედებას არც წინათ მოჰყოლია შედეგები, რომლებსაც ვარაუდობდნენ ვაშინგტონში.

## რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

**ბუქარესტი. 19 აპრილი (საკდესი)** აქ გაიმართა რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელზეც განიხილეს 1971 წელს რუმინეთის ეკონომიური განვითარების შედეგები და მიმდინარე წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის შესრულების საკითხი.

პლენუმმა მოიწონა რუმინეთის კომპარტიის გენერალური მდივნის, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის ნ. ჩაუშესკუს აფრიკის ზოგიერთ ქვეყანაში ვიზიტების შედეგები.

პლენუმმა განიხილა აგრეთვე მთელი რიგი ორგანიზაციული საკითხები. რუმინეთის კომპარტიის ბუქარესტის მუნიციპალური კომიტეტის მუშაობაში სერიოზული ნაკლოვანებებისათვის პლენუმმა გაათავისუფლა დ. პოპი რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აღმასკომის წევრის მოვალეობისაგან. აღმასკომის წევრობის კანდიდატის მოვალეობისაგან განთავისუფლებულია კ. კირალი. ი. ფესუი გამოყვანილია რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტიდან და გ. რუსი — რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატთა შემადგენლობიდან. რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აღმასკომის წევრად არჩეულია გ. ჩოარე. მინისტრთა საბჭოს საქმიანობის განმტკიცების მიზნით პლენუმმა წინადადება წამოაყენა პ. ნიკულესკუ-მიზილი დაინიშნოს რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ და ამასთან დაკავშირებით განთავისუფლდეს რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის მოვალეობისაგან. რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნებად არჩეული არიან ი. ბანკი, ი. დინკე და შ. ანდრეი. მოხდა ზოგიერთი სხვა პერსონალური გადაადგილება.

პლენუმმა დაადგინა მოიწვიოს 1972 წლის ივლისის მეორე ნახევარში რუმინეთის კომპარტიის ეროვნული კონფერენცია.

## კარაკასი — ურთიერთობის განვითარებისათვის

**18 აპრილი. საკდესის კორესპონდენტი ხერვანდო გარსია პონსე გვატყობინებს:** ვენესუელის საზოგადოებრიობა მიესალმება საბჭოთა კავშირისა და ვენესუელის დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენის მეორე წლისთავს, რომელიც ამ დღეებში სრულდება, და მოითხოვს ამ ურთიერთობის შემდგომ განვითარებას. ვენესუელის სავაჭრო და სამრეწველო პალატებისა და ასოციაციების ფედერაციის თავმჯდომარემ კარლოს რანხელმა საკდესის კორესპონდენტთან საუბარში თქვა, რომ ორგანიზაცია იღვწის სსრ კავშირსა და ვენესუელას შორის სავაჭრო გაცვლის გაფართოებისათვის. საბჭოთა კავშირთან ურთიერთობას, აღნიშნა დემოკრატიული მოქმედების პარტიის თავმჯდომარემ დეპუტატმა გონსალო ბარიოსმა, „დიდი მნიშვნელობა აქვს ვენესუელისა და მისი განვითარებისათვის". ამავე პარტიის საპარლამენტო ფრაქციის ხელმძღვანელმა პარლამენტში ჰაიმე ლუსინჩიმ აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირ-ვენესუელის ახლანდელი ურთიერთობა „ნორმალურია", და გამოთქვა სურვილი, რომ ეს ურთიერთობა „მნიშვნელოვნად გაფართოვდეს ერთმანეთის ინტერესების გათვალისწინებით".

მთავრობის პარტიის — სოციალურ-ქრისტიანული პარტიის საპარლამენტო ფრაქციის ხელმძღვანელმა, დეპუტატმა ლუის ხაპატამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან „ძალზე ნაყოფიერია ვენესუელასათვის", რადგან „წარმოადგენს როგორც კულტურული, ისე ეკონომიური ურთიერთობის ახალ ტიპს".

ვენესუელელთა უმრავლესობა, თქვა პარტიის — „ხალხის საარჩევნო მოძრაობის" გენერალურმა მდივანმა სენატორმა ხესუს ანხელ პას გალარაგამ, მოითხოვს საბჭოთა კავშირ-ვენესუელის ურთიერთობის შემდგომ განვითარებას.

## განიარაღების კომიტეტში — ჟენევა

**18 აპრილი. (საკდესი).** საბჭოთა კავშირი იზიარებს ბევრი სახელმწიფოს შეშფოთებას, იმის გამო, რომ გრძელდება ატომური იარაღის გამოცდა. საბჭოთა კავშირი საჭიროდ ცნობს, რომ ყველგან და ყველამ შეწყვიტოს ეს გამოცდები, მათ შორის მიწისქვეშა გამოცდები, და მზად არის დადოს შეთანხმება ატომური იარაღის მიწისქვეშა გამოცდების შეწყვეტის შესახებ აღმოჩენისა და იდენტიფიკაციის ეროვნულ საშუალებათა გამოყენების ბაზაზე, განაცხადა დღეს განიარაღების კომიტეტში სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურმა ა. ა. როშჩინმა.

საბჭოთა წარმომადგენელმა დაიმოწმა მთელი რიგი კომპეტენტური დასკვნები, რომლებიც გამოიტანეს სხვადასხვა ქვეყანაში, მათ შორის ამერიკის შეერთებულ შტატებში, და კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამჟამად არის საჭირო საფუძველი ასეთი შეთანხმების დასადებად. მაგრამ, თქვა მან შემდეგ, ამერიკის შეერთებულ შტატებს არ სურს დაეთანხმოს ატომური გამოცდის სრულ აკრძალვას. ამერიკის შეერთებული შტატები კვლავ ჯიუტად მოითხოვს სავალდებულო ინსპექციებს ადგილებზე ხელშეკრულების განხორციელებისადმი კონტროლისათვის, რითაც ხელს უშლის ამ დიდმნიშვნელოვანი პრობლემის გადაჭრას.

ა. ა. როშჩინმა აღნიშნა, რომ ატომური გამოცდის მთლიანად აკრძალვის საკითხი საბჭოთა კავშირის ატომური განიარაღების პროგრამის ნაწილია, რომელიც ჩამოყალიბებული იყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის დოკუმენტებში. საბჭოთა კავშირი მოითხოვს ყველა იმ ქვეყნის ატომურ განიარაღებას, რომლებსაც აქვთ ეს იარაღი. ამ ხაზის განხორციელების გზაზე კონკრეტული ნაბიჯია საბჭოთა კავშირის წინადადებანი ხუთი ატომური სახელმწიფოს კონფერენციისა და მსოფლიოს განიარაღების კონფერენციის მოწვევის შესახებ. მნიშვნელოვანი ადგილი უნდა დაიკავოს აგრეთვე წინადადებებმა მსოფლიოს სხვადასხვა რაიონში უატომო ზონების შექმნის, სხვათა ტერიტორიებზე უცხოეთის სამხედრო ბაზების, მათ შორის ატომური ბაზების ლიკვიდაციის შესახებ, ატომური იარაღის გამოყენების აკრძალვის, ზღვის ფსკერის სრული დემილიტარიზაციის შესახებ. საბჭოთა კავშირი, თქვა ორატორმა, მტკიცედ იბრძვის ამ ღონისძიებათა რეალიზაციისათვის.

## მიფრინავს „აპოლონ-16"



**ნიუ-იორკი. 19 აპრილი. (საკდესი).** კოსმოსური ხომალდი „აპოლონ-16", რომელშიც არის სამი კოსმონავტი ჯ. იანგი, ჩ. დიუკი და თ. მატინგლი, უახლოვდება მთვარეს.

დღეს დილით ხომალდი შევიდა მთვარის მიზიდულობის ზონაში და დაახლოებით შუაღამისას უნდა გადავიდეს სელენოცენტრულ ორბიტაზე. ჯ. იანგი და ჩ. დიუკი ორჯერ გადავიდნენ ხომალდის ძირითადი ბლოკიდან მთვარის კაბინაში, რათა ერთხელ კიდევ შეემოწმებინათ ყველა საბორტო სისტემა.

გათვალისწინებულია, რომ 20 აპრილს დღის ბოლოს ჯ. იანგი და ჩ. დიუკი მთვარის კაბინით დაჯდებიან მთვარის ზედაპირზე. კოსმოსური ხომალდის ძირითადი ნაკვეთურის მეთაური თ. მატინგლი დარჩება მთვარისირგვლივ ორბიტაზე.

დაგეგმილია, რომ კოსმონავტები დაჯდებიან მთვარის ხილული მხარის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილის მთაგორიან რაიონში, დეკარტის კრატერის მახლობლად. ვარაუდობენ, რომ ჯ. იანგი და ჩ. დიუკი მთვარის ზედაპირზე დაჰყოფენ 73 საათს, ამასთან სამჯერ გავლენ მთვარის კაბინიდან. ისინი გამოიკვლევენ გარემო ლანდშაფტს, ივლიან „მთვარის ყველგანმავლით".

კვლევის პროგრამაში შეტანილია ვულკანური მოქმედების ნაკვალევის ძიება. კოსმონავტები შეეცდებიან შეამოწმონ მეცნიერთა ვერსია, რომ მთვარის კრატერები წარმოადგენენ დიდი ხნის ჩამქრალ ვულკანებს, და არა მეტეორიტების ჩამოვარდნის დროს წარმოქმნილ ღრმულებს, როგორც წინათ ფიქრობდნენ.

* * *

**სურათზე:** (მარცხნიდან მარჯვნივ): თ. მატინგლი, ჯონ იანგი და ჩარლზ დიუკი გაფრენის წინ.

## ფაქტები

☐ **ბონი.** აქ გაიხსნა სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მეცნიერულ-ტექნიკური და ეკონომიური თანამშრომლობის შერეული კომისიის პირველი სესია. შერეული კომისიის საბჭოთა ნაწილს მეთაურობს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. ნ. ნოვიკოვი. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მხრივ კომისიას მეთაურობს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მეურნეობისა და ფინანსთა მინისტრი კ. შილერი.

☐ **ბუდაპეშტში** მუშაობა დაიწყო უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო კრების სესიამ. რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს დეპუტატებმა უნდა განიხილონ კონსტიტუციის შეცვლის პროექტი, აგრეთვე ჯანმრთელობის დაცვის კანონის პროექტი.

☐ **ისლამაბადში** დამთავრდა ეროვნული ასამბლეის (პარლამენტის) პირველი სესია, რომელმაც დაამტკიცა პაკისტანის დროებითი კონსტიტუცია. იგი ძალაში უნდა შევიდეს 21 აპრილს. მაშინვე პრეზიდენტი ზ. ა. ბჰუტო მიიღებს ფიცს.

☐ **ინგლისის** დირიჟაბლი „ევროპა", რომელიც ქალაქ ბედფორდის მახლობლად დაეშვა, ღუზებს მოსწყდა და დაეჯახა ხეს. საფრენი აპარატი სერიოზულადაა დაზიანებული. დირიჟაბლის მშენებლობა დაჯდა 1.250.000 გირვანქა სტერლინგი. „ევროპა" პირველად გაფრინდა გასულ თვეში, როცა მან საათში განავითარა 55 მილი სიჩქარე.

☐ **ნიუ-იორკი.** ტემპერატურის დაცემამ და გრიგალმა მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა ნათესებს კალიფორნიის შტატში. ცუდი ამინდის შედეგები იმდენად სერიოზული აღმოჩნდა, რომ შტატის ხელისუფლებმა საგანგებო წესები გამოაცხადეს ზოგიერთ განსაკუთრებით დაზარალებულ რაიონში. წინასწარი გამოანგარიშების თანახმად, ზარალი 100 მილიონ დოლარს აღემატება.

## ამბები

# ძმობის, მეგობრობის ზეიმი

## სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი 50 წლისაა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# განახლებული მიწა

**გ. ჯუსოევი,**
საქართველოს კპ სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი.

[illegible]

...ლის კონსერვები. ამწის კაბინები და სამართავი კარადები კუბის რესპუბლიკაში იგზავნება.

მრეწველობის სწრაფმა განვითარებამ დიდი სოციალური გარდაქმნები გამოიწვია სამხრეთ ოსეთის მშრომელთა ცხოვრებაში. შეიქმნა მუშათა კლასი, გამოიზარდა მრავალრიცხოვანი ტექნიკური ინტელიგენცია, წარმოების საშუალო რგოლის მეთაურთა კვალიფიციური კადრები,

[illegible]

სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, აგრობიოლოგიური მეცნიერების მიღწევები, ქიმიის საშუალებანი.

ამჟამად ოლქის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ემსახურება 400 ტრაქტორი, 65 კომბაინი, 150 სათესი მანქანა, 401 სატვირთო ავტომობილი და სხვა სამანქანო ტექნიკა. თითქმის მთლიანად მექანიზებულია მარცვლეულის წარმოება, მნიშვნელოვნად ამაღლდა მექანიზმების გამოყენების დონე ბაღებისა და ვენახების დამუშავებაში, სულ უფრო ფართოვდება შრომატევად სამუშაოთა მექანიზაცია მეცხოველეობის ფერმებში.

ცნობილია, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება სარწყავი მიწათმოქმედების განვითარებას ჩვენს ქვეყანაში. ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში აიგო ტირიფონის არხი, ომისშემდგომ პერიოდში ამოქმედდა ვანათისა და კეხვის სარწყავი სისტემები, აიგო ძარწემის, არცევისა და ორჭოსნის მექანიკური წყალსაქაჩი სადგურები, გაყვანილია მთელი რიგი შიდასამეურნეო არხები, მიმდინარეობს ზნაურის რაიონის გასარწყავების სამუშაოები. დაიწყო და ხუთწლედის ბოლოსათვის დამთავრდება ზონკარის წყალსაცავის მშენებლობა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ვანათის, ტირიფონისა და კეხვის სარწყავი არხების წყლის რეჟიმის რეგულირება.

სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მექანიზაციის, ქიმიზაციისა და მელიორაციის გაფართოების, ნიადაგის დამუშავების კულტურის ამაღლების, საზოგადოებრივი პირუტყვის მოვლა-პატრონობის გაუმჯობესების კვალობაზე გაიზარდა მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობა. მარტო შარშან წინა წელთან შედარებით

[illegible]

აღწევენ ავნეველი და აჩაბეთელი მხნელ-მეთესველები, უკანამხრელი და დადიანეთელი მეცხვარეები.

დიდი გაქანება მიიღო ჩვენს ოლქში კაპიტალურმა მშენებლობამ. საბჭოთა ხელისუფლების წლებში აიგო და კვლავ შენდება სამრეწველო საწარმოები, საცხოვრებელი სახლები, სკოლები, საავადმყოფოები, კულტურის კერები, მაღაზიები, კომუნალური, საყოფაცხოვრებო და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ნაგებობანი. გაყვანილია კეთილმოწყობილი საავტომობილო გზები. ამ ერთი თვის წინათ ქ. ცხინვალში აინთო ბუნებრივი გაზის ჩირაღდანი, მიმდინარეობს ცხინვალ-ვარიანის წყალსადენის მშენებლობა. მეცხრე ხუთწლედში მოსახლეობა მიიღებს 50 ათას კვადრატულ მეტრ საცხოვრებელ ფართობს, სახალხო განათლების, კულტურის, სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების მრავალ ობიექტს.

რევოლუციამდე მთელი სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე არც ერთი სამედიცინო დაწესებულება არ იყო. მხოლოდ ერთი ფერშალი ემსახურებოდა ცხინვალის მოსახლეობას. ამჟამად ხალხის ჯანმრთელობის სადარაჯოზე დგას 1.170 მედიცინის მუშაკი, მათ შორის 229 ექიმი.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნიდან განვლილი წლების მანძილზე დიდი გარდაქმნები მოხდა ოსი ხალხის, ოლქის ყველა მშრომელთა სულიერ ცხოვრებაში. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე მოსახლეობის 95 პროცენტი უწიგნური იყო. ახლა კი ოლქში გვაქვს 270 ზოგადსაგანმანათლებლო დაწყებითი, რვაწლიანი და საშუალო სკოლა, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი, სამედიცინო, სამხატვრო და მუსიკალური სასწავლებლები. კადრების ნამდვილ სამჭედლოდ იქცა სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი. ნაყოფიერ მუშაობას ეწევა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამხრეთ ოსეთის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი. ამ ინსტიტუტებში ითვლება 140 მეცნიერი მუშაკი, რომელთა თითქმის ნახევარს სამეცნიერო ხარისხი აქვს მინიჭებული. ოლქის მოზარდი თაობის აღზრდას ემსახურება 2.444 მასწავლებელი.

სულ უფრო ფართოვდება კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელი. ამჟამად ოლქში მოქმედებს 150 მასობრივი ბიბლიოთეკა, 90 კლუბი და კულტურის სახლი. დამსახურებული პოპულარობით სარგებლობენ სამხრეთ ოსეთის კოსტა ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო თეატრი და ანსამბლი „სიმდი".

რევოლუციამდე სამხრეთ ოსეთში ოცნებაც კი არ შეიძლებოდა ჟურნალ-გაზეთების გამოცემაზე. ახლა კი გამოდის ორი საოლქო და სამი რაიონული გაზეთი, ერთი ჟურნალი. გამომცემლობა „ირისთონი" ყოველწლიურად უშვებს ათობით დასახელების სახელმძღვანელოებს, მხატვრულ და პოლიტიკურ ლიტერატურას ოსურ, ქართულ და რუსულ ენებზე. ოსი მკითხველი მშობლიურ ენაზე ეცნობა რუსი, ქართველი და სხვა მოძმე ხალხების კლასიკოსთა თხზულებებს, საბჭოთა მწერლების ნაწარმოებებს.

სახალხო მეურნეობისა და კულტურის მძლავრ აღმავლობას ემსახურება ადგილობრივი ეროვნული ინტელიგენცია, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების წლებში გამოიზარდა. ჩვენი მეცნიერები, მწერლები, ექიმები, ინჟინრები, მასწავლებლები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, ხელოვნების მუშაკები ერთგულად ემსახურებიან მშრომელ ხალხს, აქტიურად მონაწილეობენ დიად კომუნისტურ მშენებლობაში.

ოლქის მშრომელებმა, ისევე როგორც საბჭოთა კავშირის ყველა ხალხმა ნამდვილი მხედრული შემართება გამოიჩინეს დიდ სამამულო ომში. ოცი ათასამდე მეომარი წავიდა ფრონტზე, მათგან ექვსი ათასი კაცი დაჯილდოებულია საბრძოლო ორდენებითა და მედლებით. სამხრეთ ოსეთის რვა მამაც შვილს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა.

ჩვენ უფლება გვაქვს ვამაყობდეთ იმით, რომ სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარებაში მიღწეული წარმატებებისათვის სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს გადაეცა მთავრობის უმაღლესი ჯილდო — ლენინის ორდენი.

ეს წარმატებები მოპოვებულია მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, სახალხო ინტელიგენციის თავდადებული შრომით, სსრ კავშირის ხალხთა დიადი ლენინური მეგობრობით, სამხრეთ ოსეთის მშრომელთა მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის გაუმჯობესებაზე კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ზრუნვით.

სამხრეთ ოსეთის მშრომელებმა კარგად დაიწყეს მიმდინარე სამეურნეო წელი. ისინი სულ უფრო აძლიერებენ სოციალისტურ შეჯიბრებას სახელმწიფო დავალებებისა და ნაკისრ ვალდებულებათა გასანაღდებლად. მათი გადაწყვეტილებაა მთელი ძალღონე მოახმარონ მშობლიური კომუნისტური პარტიის დიად მიზანდასახულობათა შესრულებას, ღირსეულად შეხვდნენ სსრ კავშირის შექმნის სახელოვან 50 წლისთავს.

---

**კავკაზაგი**

## სამშობლო ჩემო!

მე ნუ გიყვარდე: გიყვარდეს წმინდად
ჩემი სამშობლო — ქვეყანა დიდი;
გიყვარდეს ხალხი, რომელიც მზრდიდა
და მომაშორა სუსხი და ბინდი!
ადიდე ჩემი გამჩენის ბჭენი,
ჩემი აღმზრდელის ეზო და სახლი.
სამშობლო არის გამჩენი ჩემი,
ჩემი აღმზრდელი — ჩემივე ხალხი!
ნუ გხიბლავს ჩემი ძალა და ღონე:
გხიბლავდეს ჩემი ძალ-ღონის წყარო.
სამშობლო არის ამ წყაროს მქონე,
მეც სამშობლოთი და ხალხით ვხარობ!
ნუ მოისურვებ ჩემს ნახვას, კოცნას:
გსურდეს შენ ჩემი მშობლების ნახვა.
მე ეს სიცოცხლე სამშობლომ მომცა
და ზრუნვით ძუძუ მაწოვა ხალხმა!

გიორგი კაჭახიძის თარგმანი.

**ილია ფლითი**

## მშობლიური სოფლისკენ

ჩემს წინ შარა გაშლილია
ლამაზ, ზღაპრულ სარბიელად.
ვუსმენ ფაფარაშლილ ნიავს,
ფიქრი დამიხვავრიელა.

მარჯვნივ — მწვანე მინდვრებია,
ხელმარცხნივ კი არის ხევი.
გულში ჩაკვრას მპირდებიან
ტანწერწეტა ნაძვის ხენი.

ჩანან მთები ტანმაღალი,
დევებივით პირქუშები...
და მე მათი დამნახავი
ვმღერი, განა ვილუშები.

ცა ლურჯია, კლდე მოლურჯო,
შენც კარგი ხარ, ჩემო სახლო.
ჩეი მუზავ, ნუღარ ურჩობ,
სოფლის ქება შემოვძახოთ.

სხვის არ ვიცი, მე კი მხიბლავს
სახლი — მთის ძირს აგებული.
გატაცებით შევტრფი მთიბავს, —
ვაჟკაცია გაბედული.

მე მახარებს კოლექტივის
სიმძლავრე და სილამაზე.
ჩემი ოფლის ღონე ღვივის
და მის კალთას მივენაზე.

ჩემს წინ შარა გაშლილია
ლამაზ ზღაპრულ სარბიელად
ვუსმენ ფაფარაშლილ ნიავს,
ფიქრი დამიხვავრიელა.

ა. მამისთვალოვის თარგმანი.

---

# ჩირაღდნები მთაში

ვისაც ცხინვალიდან რაჭისაკენ მიმავალ გზაზე უმოგზაურია, ის გვერდს ვერ აუვლიდა თვალწარმტაც ერწოს ტბას, მდინარე ჯეჯორს და ახალ მუშათა დაბას — კვაისას.

კვაისა სამხრეთ ოსეთის მრეწველობის სიამაყეა. აქ მთის გულში ადამიანები იბრძვიან, რათა მიწის ზედაპირზე გამოიტანონ და გაამდიდრონ კვაისა-ხოხის მთის წიაღისეული — ტყვია და თუთია. თითქმის ორნახევარი ათეული წელია, რაც ეს საბადოები მწყობრში ჩადგნენ და ოლქის მშრომელთა საყოველთაო ყურადღება დაიმსახურეს.

კვაისის მშვენებას ახლად მისული განსაკუთრებით ღამე იგრძნობს, როცა მუშათა დაბაში, გამამდიდრებელ ფაბრიკასა და სამთო საამქროებში ჩირაღდნები აკიაფდებიან. მთის გულში განუწყვეტლივ გუგუნებენ მძლავრი ელექტროდანადგარები. მრავალრიცხოვან მაღაროთა კოლექტივს მკვრივ ქანებთან, ნიადაგის მძლავრ წყლებთან უხდება შეჭიდება.

მაღაროებიდან ელექტრომატარებლებს წიაღისეული მიწის ზედაპირზე გამოაქვთ. აქ, ზემო ბუნკერთან, პატარა მატარებლები ტვირთისაგან თავისუფლდებიან, ხოლო შემდეგ მადანი საბაგირო გზით დაბლა, ჯეჯორის პირას გაშენებული გამამდიდრებელი ფაბრიკისაკენ მიემართება.

გამამდიდრებელი ფაბრიკა კი თავისი ნაცადი მუშათა კოლექტივით ფხიზლად დგას შრომითს ვახტზე და სამთო საამქროდან მიღებული ქანობიდან ტყვიასა და თუთიას აცალკევებს ქიმიური რეაგენტების საშუალებით.

ასე მეორდება ძვირფასი ლითონების მიღების ტექნოლოგიური პროცესი, რომელსაც აქ, მაღალმთიანი სოფლების მკაცრ ბუნებაში აღზრდილი ადამიანები ემსახურებიან. ბევრია აქ სამთო საქმის ინჟინერი, ტექნიკოსი, ქიმიკოსი. ისინი ძირითადად ადგილობრივი სოფლების მკვიდრნი არიან.

კვაისის მუშათა კოლექტივს თავისი არსებობის მანძილზე მრავალი ჰქონდა სიხარულის დღეებიც და სიძნელეებიც. მაგრამ მუშათა კოლექტივი ძალებისა და საშუალებების დაუზოგავად იბრძოდა ახალ-ახალი წარმატებების მოსაპოვებლად. აგერ 4-5 წელიწადია ტყვია-თუთიის საბადო სისტემატურად გადაჭარბებით ასრულებს სახელმწიფო პროგრამას ყველა ძირითად სახეში. ყოველწლიურად გადამეტებით გამოდის ტყვია-თუთიის კონცენტრატები, პირნათლად სრულდება შრომის ნაყოფიერების ამაღლების, სამთო და კაპიტალური სამუშაოების, საბინაო და კომუნალური მშენებლობის გეგმები.

კვაისელებს ჰყავთ თავიანთი სახელოვანი ადამიანები, რომლებიც დაკავშირებული არიან ტყვია-თუთიის საბადოებთან. თითქმის 15 წელიწადია სამთო საამქროს კომპლექსურ ბრიგადას ხელმძღვანელობს სახელმოხვეჭილი მბურღავი ალიხან ხუგაევი. იგი არაერთხელ იყო არჩეული სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოების დეპუტატად. კვაისელთა საპატიო დაფებს დიდი ხანია ამშვენებს სამთო საამქროს გამოცდილი ოსტატების ა. ბაგაევის, მ. ქარსანოვისა და სხვათა პორტრეტები.

კვაისის საბადომ დიდი გადაჭარბებით შეასრულა მიმდინარე წლის პირველი ორი თვის საწარმოო დავალებაც. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ პირველი კვარტალის გეგმას ვადამდე 5 დღით ადრე შევასრულებთ.

კვაისელებს უყვართ თავიანთი მუშათა დაბა, რომელიც წარმოებასთან ერთად წლების მანძილზე იზრდებოდა და ლამაზდებოდა. აქ მრავალი საცხოვრებელი სახლი აშენდა უკანასკნელ წლებში, გაიჭრა ახალი ქუჩები, მოეწყო სკვერები, დასასვენებელი ადგილები. მუშათა დაბაში არის კულტურის სახლი, კინოთეატრი, საბავშვო ბაღები, სკოლები, საავადმყოფოები, მაღაზიები, საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები.

გაისმის საბადოების საყვირის ხმა, და სამთო საამქროდან მუშათა დაბისაკენ დაიძვრებიან ადამიანთა ჯგუფები. მოდის ცვლა, რომელმაც მაღაროებში თავისი სამუშაო შეასრულა, ხოლო მის ნაცვლად ქვემოდან, მუშათა დაბიდან სამთო საამქროში მიემართება ახალი ცვლა.

ასე ხდება ყოველდღე.

კვაისა ახლა სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის საიუბილეო ვახტზე დგას და დავალებებს პირნათლად ასრულებს. იმედი ვიქონიოთ, რომ იგი კვლავაც მოწინავეთა რიგებში იქნება.

**უ. გასიევი,**
კვაისის მაღაროთსამმართველოს დირექტორი.



ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი. ლაბორატორიული მეცადინეობა ბიოლოგიაში.
ა. რუხაძისა და ფ. კრიმსკის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

---

# საპატიო მოქალაქე



დარბაზი ხალხს ვერ იტევდა. აქ იყვნენ პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის, საოლქო საბჭოს აღმასკომის, ქალაქის ორგანიზაციებისა და დაწესებულებების წარმომადგენლები. მათ შორის იყო ტანმორჩილი, გამხდარი ქალი. იგი თავჩაღუნული იჯდა და ფიქრს მისცემოდა.

ტრიბუნაზე ორატორები ერთმანეთს ცვლიან. ლაპარაკობენ თამარ სანაკოევას კარგ ადამიანობაზე. მის თავდადებულ შრომაზე, მის დამსახურებაზე ჩვენი ოლქის წინაშე.

— მე ყველაფერს ისე ვაკეთებდი, როგორც ამას გული მიკარნახებდა, და თუ ჩემი შრომით თანამემამულეთა მადლობა დავიმსახურე, მეტი არაფერი მინდა, ეს კმარა... მე ბედნიერი ვარ...

კვლავ იგრიალა ტაშმა...

თამარი დაჯდა. მისალმებები, სიტყვები კვლავ გრძელდებოდა. ის კი ფიქრებით წარსულს უბრუნდებოდა:

...ობოლი ქალიშვილი სწავლას ეწაფებოდა. ტოლ-სწორებში დიდი ენერგიით და სერიოზულობით გამოირჩეოდა. 1929 წელს წარმატებით დაამთავრა თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი და სხვაგან წასვლაზე არც უფიქრია. მშობლიურ ოსეთს უჭირდა მისი ხელი, აქ იყო საჭირო, და დაბრუნდა კიდეც.

კოლექტივიზაციის პირველი წლები. იმ დროს გლეხს ყველაფერი როდი ესმოდა. მიწის ნაკვეთებს სიცოცხლესავით ებღაუჭებოდა. სიახლეს ეჭვის თვალით უყურებდნენ. საერთოდ ძნელად მკვიდრდებოდა ახალი. დიდ წინააღმდეგობებს აწყდებოდნენ ახალი ცხოვრების შემოქმედნი. ძნელად იკიდებდა ფეხს კოლექტივიზაცია. მას კულაკები ეწინააღმდეგებოდნენ. წერა-კითხვის უცოდინარ გლეხობას ადვილად არწმუნებდნენ სინამდვილის საწინააღმდეგოში. განსაკუთრებით ქალებს სჯეროდათ კულაკების მონაჩმახ კოლექტივიზაციაზე. საჭირო იყო მოთმინებით მუშაობა. ეს საქმე დაევალათ ქალთა საბჭოებს. ამ საბჭოებმა დიდი როლი შეასრულეს თავის დროზე. ჩამორჩენილი, ბნელი და უწიგნური ოსი ქალი მოკლე ხანში განთავისუფლდა წარსულის ტყვეობიდან. ის მტკიცედ დადგა სოციალიზმის მშენებლობის გზაზე.

ამ წლებში მრავალმხრივ მუშაობას ეწეოდა ცხინვალის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის ახალგაზრდა დირექტორი თამარ სანაკოევა. სად არ ნახავდით მას. მის თვალს ყველაფერი უნდა ენახა, ყველაფერს საკუთარი ხელით შეხებოდა. იგი მეურნეობის მუშებს ხშირად ესაუბრებოდა სოფლის მეურნეობის სხვადასხვა საკითხზე. ახალგაზრდა ქალს დიდი გავლენა ჰქონდა მუშებზე.

საუკუნეების მანძილზე მიწას ვამუშავებთ და ახლა ეს გოგონა გვარიგებს ჭკუას, — ჩურჩულებდნენ მუშა ქალები, მაგრამ ამ „პატარა გოგონას" ხათრი და რიდი მაინც ჰქონდათ. ადვილი როდია ხალხის ნდობა და პატივისცემა დაიმსახურო. საჭიროა პირადი მაგალითი, და თამარიც ენერგიას არ ზოგავდა. იგი ყოველთვის მათთან იყო, ჭირსა და ლხინს იყოფდა. დღედაღამეს ასწორებდა, ხშირად იტყოდა: „ხალხის სამსახური თუ იკისრე, უნდა იმუშაო კიდეც"

...და მუშაობდა. სამუშაო კი ბევრი იყო. ყოველდილით სხვებზე ადრე მიდიოდა სამსახურში. დღე საქმეში იწურებოდა, წლები ერთიმეორეს მისდევდნენ. თამარს გამოცდილება უგროვდებოდა. სულ უფრო ნაყოფიერი ხდებოდა მისი შრომა.

დიდი სამამულო ომის წლებში თამარ სანაკოევა მუშაობდა სამხრეთ ოსეთის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატში ზოოტექნიკოსად, სასოფლო სამეურნეო ტექნიკუმში მასწავლებლად, ენერგიას არ იშურებდა კადრების აღზრდისათვის.

სამკვდრო-სასიცოცხლო ომი მძვინვარებდა. ვისაც იარაღის ხელში აღება შეეძლო, ფრონტზე მიდიოდა, შინ მხოლოდ ქალები, მოხუცები და ბავშვები რჩებოდნენ. თამარმა დიდი სამამულო ომის წლებში წარჩინებით ჩააბარა გამოცდა. ფრონტზე წასულ ვაჟკაცებს ქალები ცვლიდნენ.

იმ წლებში თამარ სანაკოევა პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივნის მოადგილედ და სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგედ დანიშნეს.

როცა 1950 წელს ცენტრალური კომიტეტის კომისია ჩამოვიდა, რომ მთის კოლმეურნეობების ეკონომიკა და პირობები შეემოწმებინა, თამარმა კიდევ ერთხელ შემოიარა მთები. ოსეთში არ დარჩენილა სოფელი, სადაც თამარს ფეხი არ დაედგას. ჯავიდან დაიწყო და ლენინგორის ხეობაში გადავიდა. ყველას უკვირდა ამ ქალის გამძლეობა. თვით თამარს კი არ უკვირს. ხალხისა და საქმისადმი სიყვარული უფრო მეტსაც შეგვაძლებინებსო, — იტყვის ხოლმე.

არც ხალხმა დაუკარგა ამაგი. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად აირჩია. ხალხის რჩეული ხალხის მსახურობს. საჩივრებსა და განცხადებებს ყოველთვის დიდი გულისხმიერებით ეკიდებოდა. ხალხის ნდობა გაამართლა მისმა რჩეულმა.

აგერ რამდენი წელიწადია პენსიაზეა თამარ სანაკოევა, მაგრამ არ ივიწყებს კოლექტივს, ვისთანაც მან ათეული წლების განმავლობაში იშრომა. ოლქის ცხოვრებას გამოიკითხავს! იგი ყოველთვის საქმის კურსშია, იცის, სად რა ღონისძიება ხორციელდება, რომელ დარგში რომელი მეურნეობა დაწინაურდა.

ხშირად შევხვდებით ჩვენს ქალაქში ტანმორჩილ თმაჭაღარა ქალს, სიდარბაისლე ჭარბად რომ აჩნევია სახეზე. თავმდაბალი და მორიდებული, ყველასაგან პატივსაცემი. დიახ, ის არის ჩვენი სასიქადულო მამულიშვილი, ოლქის საპატიო მოქალაქე თამარ სანაკოევა.

**ლუბა ნარიკაევა,**
ქ. ცხინვალის № 5 საშუალო სკოლის დირექტორი.

---

### რეპორტაჟი ცხინვალიდან

# ფრთებგაშლილი

ორმოციოდე წლის წინათ ეწოდა ცხინვალს ქალაქის სახელი, მანამდე კი გორის მაზრის დაბად იყო ცნობილი. ისტორიისათვის დროის ეს მონაკვეთი დიდი როდია, მაგრამ აქ მომხდარი ძვრები იმდენად საგულისხმოა, რომ ყველაფერი ეს თითქოს საუკუნის განმავლობაში კეთდებოდა.

ცხინვალში 13 კომუნარის ქუჩაზე არის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. აქ ბევრი საგულისხმო ექსპონატი, ფოტოსურათი თუ აღწერილობაა წარმოდგენილი ქალაქის ისტორიიდან. ასეთ მასალებს შევხვდებით საოლქო გაზეთების ძველ ნომრებში, აგრეთვე წიგნებში, ბროშურებში.

ისინი ნათლად მეტყველებენ, რომ ქალაქი შენდებოდა, ვაჟკაცდებოდა სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქთან ერთად, ესეც რომ არ იყოს, ყველა ცხინვალელს, რომელსაც საშუალო ასაკისათვის გადაუბიჯებია, კარგად ახსოვს ძველი ცხინვალი თავისი მინგრეულ-მონგრეული ქუჩებით, მბჟუტავი ფარნებით და ჩარჩ-ვაჭართა დუქნებით.

...ცხინვალში მიმავალმა მგზავრმა ქალაქს პირველ ყოვლისა თვალი აღმოსავლეთი ფერდობიდან უნდა გადაავლოს. ამ ფერდობს ცხინვალელები „ზღუდერის გვერდას" უწოდებენ. ახლა ეს ფერდობი წიწვიანი ტყით არის დაფარული. ადრე კი ტიტველი იყო.

წინათ ზღუდერზე რელიგიური დღესასწაულები იმართებოდა ხოლმე. მოდიოდნენ ზღუდრობაზე ურმები ხაშურიდან, ქარელიდან, გორიდან, კასპიდან, ზოგჯერ კი დასავლეთ საქართველოდან და კახეთიდანაც კი. განუწყვეტლივ ისმოდა ჩარდახიანი ურმების ჭრიალი, კონკილას რაკარუკი. შეხედავდი ამ ურმებს, და უმალვე შეამჩნევდი კოფოზე ჩამომჯდარ მთვლემარე, ძილნატეხ მეურმეს. მოვიდოდნენ ზღუდერზე და იმართებოდა ღრეობა, პირუტყვით და საოჯახო ნივთებით ვაჭრობა. ასე გრძელდებოდა ზღუდრობები წელიწადში სამ კვირადღეს.

აი პატარ-პატარა სურათები, რომლებიც ახასიათებენ ძველი ცხინვალის ყოფას, ხალხთა კულტურას. რა თქმა უნდა, მაშინ ზედმეტი იყო მრეწველობაზე ლაპარაკი. ცხინვალელებს წარმოდგენა არ ჰქონდათ ქარხანაზე, ფაბრიკაზე, კულტურის კერებზე.

მაგრამ ყველაფერი ეს დრომ წაიღო. დადგა ახალი ერა, ერა საბჭოებისა, ერა სიმართლისა და აღორძინებისა.

და დღეს, როცა სამხრეთ ოსეთი ზეიმით აღნიშნავს თავისი ავტონომიის არსებობის 50 წლისთავს, ბუნებრივია იკითხო: რამ განაპირობა ასე მოკლე დროში ესოდენ დიდი წარმატებები?

ეს განაპირობა ახალმა სოციალურმა წყობამ, ადამიანთა ახლებურად ცხოვრებამ, პერიოდმა, როცა ადამიანები თვითონ გახდნენ თავიანთი თავის ბატონ-პატრონი, როცა ბოლო მოეღოთ მძარცველებს, მუქთახორებს, ხალხის უბოროტეს მტრებს.

რა არის ახალი ცხინვალში?

ყველაფერი ის, რასაც კი კარგსა და კეთილს შეამჩნევ. ყოველი თანამედროვე ქალაქის სიამაყეს შეადგენს მისი მრეწველობა, კულტურა, და რა თქმა უნდა, თანამედროვე ადამიანები. ცხინვალის მრეწველობის ისტორია მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან იწყება. ადრე სამხრეთ ოსეთს მრეწველობა არ ჰქონდა. მარტო უკანასკნელი ათი წლის მანძილზე ცხინვალში აშენდა და პროდუქციას იძლევიან ელექტროტექნიკური მრეწველობის ისეთი მძლავრი საწარმოები, როგორიც არის ქარხანა „ემალსადენი" და „ვიბრომანქანა". ამ უკანასკნელის პროდუქციას — ვიბრომანქანებს მსოფლიოს 18 ქვეყანა ყიდულობს, ხოლო „ემალსადენის" ნაწარმზე დიდი მოთხოვნილებაა ჩვენი ქვეყნის ქარხნებში. საკმაოდ ძლიერია ავტობუსების სარემონტო ქარხანა. უცხოეთში გააქვს თავისი პროდუქცია — ამწეების კაბინები ცხინვალის მექანიკურ ქარხანას. ეს ძვირფასი პროდუქცია იტვირთება და მიდის რკინიგზის ცხინვალის სადგურზე, რკინიგზისა, რომელიც ჩვენი ხუთწლედების პირმშოა.

დიდია მოთხოვნილება აგრეთვე ცხინვალის სამკერვალო ფაბრიკის პროდუქციაზე. ამ საწარმოებში აღიზარდნენ ადგილობრივი კვალიფიციური მუშათა კადრები და ინჟინერ-ტექნიკოსთა პერსონალი, რომლებიც საოლქო ცენტრის ოქროს ფონდს შეადგენენ.

დიდი ძვრები მოხდა საქალაქო მეურნეობაშიც. სულ რამდენიმე დღის წინათ ცხინვალელებმა მიიღეს მეტად ძვირფასი საჩუქარი — ბუნებრივი გაზი. მალე დამთავრდება ახალი წყალსადენის მაგისტრალის მშენებლობა. იგი ცხინვალის მოსახლეობას საუკეთესო სასმელ წყალს მიაწვდის იაკობ გოგებაშვილის მშობლიურ სოფელ ვარიანიდან. ეს წყალი საოლქო ცენტრს გადაეცემა საქაჩავი სადგურებით.

ცხინვალში ბოლო წლებში შეიქმნა მრავალი საცხოვრებელი მასივი (ლუდის ქარხნის, რკინიგზის სადგურის, ისაკ ხარებოვის ქუჩის მასივები). წელსაც ბევრი საცხოვრებელი სახლი გადაეცემა საექსპლოატაციოდ. რკინიგზის სადგურის ახლოს შენდება ახალი სასტუმრო, ქალაქს ემატება სავაჭრო, ჯანმრთელობის დაცვის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნაგებობანი, კულტურის კერები. ახლახან აქ საექსპლოატაციოდ გადაეცა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის ახალი შენობა, კიდევ ერთი საშუალო სკოლა, სპორტსასახლე, მწერალთა კავშირის სახლი, მუსიკალური სასწავლებლის შენობა და სხვ.

კადრების სამჭედლოა ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტი, სამედიცინო, სამხატვრო, მუსიკალური სასწავლებლები, მასობრივი სკოლები. მრავალი მეცნიერი განაგრძობს კვლევით მუშაობას საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამხრეთ ოსეთის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში.

სამხრეთ ოსეთის მშრომელები ზეიმით აღნიშნავენ თავიანთ ეროვნულ დღესასწაულს — ავტონომიური ოლქის შექმნის 50 წლისთავის იუბილეს. ზეიმის ამ დღეებში ცხინვალელმა მშრომელებმა ახალ წარმატებებს მიაღწიეს სოციალისტური შეჯიბრებებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის ბრძოლაში.

ცხინვალელები თავიანთ დღესასწაულს ორგანულად უკავშირებენ ჩვენი ქვეყნის ისტორიის დიად თარიღს — სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს. ხალხთა დიადი მეგობრობის, ინტერნაციონალური სოლიდარობის ზეიმის დღისათვის გაცხოველებით ემზადება ცხინვალი — ახალ მშენებლობათა ფრთებგაშლილი ქალაქი.

**ი. თედიაშვილი,**
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

---



მრავალი მშრომელი, მოხუცი კოლმეურნე ჰყავს ცხინვალის რაიონის დმენისის კოლმეურნეობას. ისინი ხშირად ხვდებიან ახალგაზრდებს, პიონერებს, გულთბილად საუბრობენ მათთან. სურათზე: 95 წლის კოლმეურნე ვ. კაბულოვი პიონერებს მოუთხრობს მშობლიური სოფლის ისტორიას.
ა. რუხაძის ფოტო (საკდესის ფოტოქრონიკა).




სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო გამომცემლობა ყოველწლიურად უშვებს დიდძალ ლიტერატურას ცოდნის სხვადასხვა დარგიდან, გამომცემლობის მიერ გემოვნებით გაფორმებულ, შინაარსიან წიგნებს, მყიდველიც ბევრი ჰყავს. სურათზე: სამხრეთ ოსეთში გამოცემული ახალი წიგნები.



# დღეს სამხრეთ ოსეთში

**შენდება მეფრინველეობის ფაბრიკა ☐ ზონკარის წყალსაცავი, გასინჯეთ „ბაგიათი" ☐ საჩუქრად მოსწავლეებს ☐ სპეციალურად ხილისათვის ☐ შენდება ლარგვისში**

[illegible] ამ რაიონში, სოფელ ვანელთან ამოდის „ბაგიათის" სამკურნალო წყალი. იგი საირმის ტიპისაა და დიდი მოწონებით სარგებლობს. ჩამოსხმა უკვე რამდენიმე წელიწადია მიმდინარეობს, მაგრამ აქ სპეციალური ჩამომსხმელი ქარხანა არ იყო. ახლა ამ ქარხნის მშენებლობას უკვე შეუდგნენ. მომავალ წელს მომხმარებელი მიიღებს ქარხნის მიერ გამოშვებულ პროდუქციას.

მიმდინარე წელს ლენინგორის მშრომელები მიიღებენ საუკეთესო საჩუქარს — რაიონულ ცენტრში საექსპლოატაციოდ გადაეცემა სკოლა-ინტერნატის კომპლექსი. აქ შენდება სასწავლო და საცხოვრებელი კორპუსები, დამხმარე ნაგებობანი, სპორტული მოედნები.

სამხრეთ ოსეთი ყოველწლიურად ხილის უხვ მოსავალს იღებს. მაგრამ ზოგიერთ სოფელში არ იყო ხილის მიმღები სპეციალურად ნაგები პუნქტები.

ორი წელია ასეთი პუნქტების მშენებლობა გაცხოველებული ტემპით მიმდინარეობს. პუნქტები უკვე აშენდა და მწყობრში შევიდა ცხინვალის რაიონის სოფელ დმენისში, დისევში, ქემერტში, ზნაურის რაიონის სოფელ მუგუთში — წელს კიდევ რამდენიმე სოფელში დამთავრდება ხილის მიმღები პუნქტების მშენებლობა.

ლენინგორის რაიონის მთის სოფელ ლარგვისში შენდება საშუალო სკოლის ახალი შენო- [illegible] ფიქროთ, რომ ლარგვისელი ახალგაზრდები სასკოლო შენობას დათქმულ დროზე მიიღებენ.

• • •

სურათზე: სამხედრო დიდების ძეგლი ცხინვალში.

მ. ალბაროვის ფოტო.



ხიდი მდინარე ფაწაზე სოფელ გუფთასთან. [illegible] ფოტო.

## ფართოვდება კურორტი „ჯავა"

[illegible] ში აქ აშენდა ბავშვთა სანატორიუმები და პიონერთა ბანაკები. ჯავაში დასასვენებელი სახლები ააშენეს თბილისის დიმიტროვის სახელობის ქარხანამ და გორის ბამბეულის კომბინატმა.

მალე დაიწყება ახალი 7-სართულიანი სანატორიუმის მშენებლობა ჯავის ცენტრში.

კურორტი ჯავა კიდევ უფრო მშვენდება.

## გამოიცა ცხინვალში

[illegible] ის ნაწარმოები „მიმდინარეობდა ომი სახალხო". წიგნი გამოცემულია ოსურ ენაზე და დიდი პოპულარობით სარგებლობს.

ოსურ ენაზე გამოიცა ოსი მწერალი ქალის ნ. გალავანოვას რომანი „მეორე შეცდომა" და გაფეზის მოთხრობების კრებული თანამედროვე თემებზე, აგ- [illegible] მოთხრობები", ა. ფარასტაევისა და მ. ცოტნიაშვილის ნარკვევი „გმირი ერედვიდან", დ. ბიაზროვის მოთხრობა „ქარიშხალი".

რუსულ ენაზე გამოიცა ავტორთა ჯგუფის წიგნი „ოსური მოთხრობები". მალე წარმოებიდან გამოვა კიდევ რამდენიმე წიგნი.

## ქ. ხუჭუა

[illegible] ლდობული იყო მედლებითა და საპატიო სიგელებით.

ქ. ხუჭუას ხსოვნა მუდამ იცოცხლებს მისი მეგობრებისა და ამხანაგების გულში.

**ამხანაგების ჯგუფი.**

## მოთხრობა

# კეთილმოწილეება

### გიორგი ძუგაევი

ცისფერმა „პობედამ" სვლა შეანელა და რბილ გზაზე ახალი საბურავების კვალი დააჩნია. მანქანიდან პირხმელი ახალგაზრდა გადმოვიდა და კარები მიხურა. იგი რაიკომის ინსტრუქტორი ბორსა იყო.

— მოვედით, აქედან დიდი სავალი აღარ დამრჩა, წადი, დაბრუნდი უკან, მანქანა სხვასაც დასჭირდება რაიკომში, — უთხრა შოფერს ბორსამ, ოდნავ გახუნებული საწვიმარი მკლავზე გადაიგდო და სოფლისაკენ მიმავალ ბილიკს დაადგა.

ინსტრუქტორი ცოტა ხნის შემდეგ შეყოვნდა. დაკუნთული ხელებით ჯაგარივით გაფშეკილი თმა შეისწორა, შიდამო შეათვალიერა. დილა იყო. ჭაღარა მთებიდან მონაბერი ნიავი ყანას ელაციცებოდა, დამძიმებული თავთავები მჭიდროდ მიჯრილიყვნენ, დილის ხიო შემოსული თავთავების ფუჭმზე ქამანივით ადი-ჩადიოდა და დიდებულ ჰანგებს გამოსცემდა.

მზის სხივებმა მინდორი ოქროსფრად აავლვარა. დილის სანახაობამ ბორსას გული გაუხსნა. მიდიოდა ყელამდე ყანაში და სახე ულიმოდა. ღიდრონი თვალები ისე უბრწყინავდა, გეგონებოდა მარტო კი არ არის, თან საყვარელი ქალი ახლავს და იმას შესციცინებსო.

მიდიოდა ბორსა და ხანდახან ბილიკზე ჩაწოლილ თავთავებს ხელით სწევდა. დილის ნამი და თავთავების ღიტინი შეუცნობელ სიამოვნებას ჰგვრიდა. მოულოდნელად ფეხებქვეშიდან მწყერი წამოუფრინდა. ბორსამ თვალი გააყოლა. მუცელი მთლად გატიტვლებოდა ბუდეში ჯდომით, კრუხ მწყერს ფრთები და ბოლო ისე დამოკლებოდა, კაცი იფიქრებდა, ვინმემ დაიჭირა და განგებ გაკრიჭაო. ბორსას რაღაცნაირი წრიპინი შემოესმა. ძირს დაიხედა: მწყრის ბარტყი ბუდეს მოშორებია და ბილიკზე მიცოცავს. ხანდახან ყვითელარშია შეშოვლებულ პირს გააღებს და მოცვისფერ თვალებს უმწეოდ აფახულებს.

ბორსა დაიხარა, მწყრის ბუდე შეასწორა, რომლისთვისაც ფეხი წამოეკრა და შიგ აბრეშუმის ჭიასავით ტიტველი მწყრის ბარტყი ჩასვა.

— იყავი აქ, შენიანებთან. გაიზრდები, ყანას დაუწყებ ჭამას, აბა, რა გიყოს კაცმა? — ჩაილაპარაკა ბორსამ თავისთვის და გზა განაგრძო.

ყანა რომ გაიარა, მაშინ იგრძნო, შარვლის ტოტები გალუმპული ჰქონოდა.

სამუშაოზე გამოსული კოლმეურნეები შინაურულად უყურებენ ბორსას და მშვიდობის დილას უსურვებენ.

„ყოჩაღ, ბიჭებო, კლუბის კედლები კარგად აგიწევიათ", — გაიფიქრა ბორსამ და მშენებლებთან მივიდა.

— გამარჯობათ, ბიჭებო! ყაზი რა იქნა, ყაზი, უფროსი კალატოზი?

— გაგვექცა, გაგვექცა. აღარ ხუმრობს ჩვენი მოხუცი. იმანაც რა ქნას, არა სცალია და... ა, როგორი საქმი წამოჭიმა წყაროსთან — უპასუხა ახალგაზრდა კალატოზმა.

ბორსამ საწვიმარი მეორე ხელში გადაიტანა, ურჩი თმა შეისწორა. მშენებლებს კიდევ უთხრა რაღაცა და გამგეობის შენობისაკენ გადაუხვია. კანტორის ღია ფანჯრიდან კოლმეურნეობის თავმჯდომარის ბაირამის ხმა შემოესმა:

— გეყოფა, ყაზი, გეყოფა! შენ მარტო საკუთარ კვერს აცხობ. საერთო საქმე აღარც გახსოვს. ეგრე არ ივარგებს!

— ეგრე იყოს, მაგრამ, ჩემს კვერსაც ხომ უნდა გამოცხობა, სახლს გადაუხურავს ხომ რა დავტოვებ?

— უნდა დატოვო! — სახლი მარტო შენია, კლუბი ყველასი — ცხარობს თავმჯდომარე.

— თუ ძმა ხარ, ორი-სამი დღეც დამაცადე. ახლა ქალაქში წავალ, ცოტა კრამიტი დამაკლდა. იმასაც მოვიტან, გადავხურავ, და მერე მე ვიცი და კლუბის მშენებლობამ, — ფიცულობს ყაზი.

— შენს საკითხს კრებაზე განვიხილავ! აი ნახავ, — იმუქრება ბაირამი.

ბორსა შეჩერდა. მას უნდოდა ეზოში შეუმჩნევლად მდგარიყო, ვიდრე ბაირამი და ყაზი კამათობდნენ, მაგრამ გულმა ვერ მოუთმინა და კარებზე დააკაკუნა.

— შემოდი, რომელი ხარ? — უკმაყოფილოდ უპასუხა თავმჯდომარემ.

— აქა მშვიდობა, გამარჯობათ! — მიესალმა სტუმარი.

— გაგიმარჯოს, მშვიდობა არ მოგაკლდეს — დამსვდურებმა ხელი ჩამოართვეს ბორსას.

— „ვაი თუ რაიკომის მუშაკთან თავმჯდომარემ კიდევ მითხრას რამე", იფიქრა ყაზიმ და ვიდრე სტუმარ-მასპინძელი სალამ-ქალამს დაამთავრებდნენ, შეუმჩნევლად გარეთ გავიდა. ერთხანს შეჩერდა და გადაწყვიტა: „მოდი ბორსას ვეტყვი, ჭკვიანი კაცია, ბაირამსაც გააგებინებს, ბოლოს და ბოლოს წვიმა რომ მოვიდეს, სახლი ხომ დამენგრევა".

მთა-ბურხოხის თავზე აშლილი შავი ღრუბლები რომ დაინახა, ცუდად ენიშნა ყაზის, ხელი ჩაიქნია, სათქმელი გადაიფიქრა და ქალაქისაკენ გასწია.

ბორსა ერთხანს ხმას არ იღებდა. მერე მაგიდასთან მივიდა, ლურჯყდიანი რვეული ხელში აიღო და წაიკითხა: „სოფელ ფარნის კოლმეურნეობის მოსავლის აღების კალენდარული გეგმა"... ბორსამ გონების თვალით გადახედა ზღვასავით აღელვებულ ყანებს, თვალწინ წარმოუდგა მწყრის ბუდე. ფრთაფარფატა ტოროლას გალობა ოლეებში.

რვეული გადაფურცლა და თავმჯდომარეს მიმართა:

— ეს როგორ, კომუნისტები სულ მესამე ბრიგადაზე მიგიმაგრებიათ, ვითომ რათაო?

ბაირამმა გეგმას გადახედა:

— მართალია, პარტორგანიზაციის მდივანთან ერთად კიდევ გადავხედავ გეგმას, — უპასუხა თავმჯდომარემ და ფანჯარასთან გაბუტულივით გაჩერდა.

— ამხანაგო, რას გაჩუმებულხარ, ჩემი მოსვლა ხომ არ გეწყინა? პარტორგანიზაციის მდივანთან მაქვს საქმე, — დაარღვია ჩამოვარდნილი დუმილი სტუმარმა. ბაირამმა სუფთად გაპარსულ ნიკაპზე თითი მიიდო და ფიქრებიდან გამოერკვა.

— ყაზის ხომ იცნობ? კოლმეურნეობაში ერთ-ერთი მოწინავე იყო.

— ახლა აღარ არის? — იკითხა ბორსამ.

— მეც ეს მადარდებს...

— რა მოუვიდა ისეთი?

თავმჯდომარემ მეორე ფანჯარაც გამოაღო და სტუმარი გაახედა.

— ორსართულიან სახლს ხედავ?

— წეღანაც მაჩვენეს კლუბის მშენებლებმა: ვეღარ გადახურა? — იკითხა ბორსამ.

— მარტო ყაზი კი არა, მისი ოჯახიდან კაი ხანია სამუშაოზე აღარავინ გამოსულა. აქამდე კიდევ არაფერი, ახლა მოსავლის აღება იწყება...

— გადახურავს, დაუმთავრებია და ეგ არის, — ჩაილაპარაკა ბორსამ.

— ჯერ სად არის. იატაკი უნდა, კარ-ფანჯრები, კედლებიც ხომ გასალესია. არა, არა, გამგეობაზე უნდა დავსვა საკითხი.

ბორსამ აღარაფერი თქვა.

ცაზე ცხვრის ფარებივით აშლილმა ღრუბლებმა მოსტაცეს თვალი. სტუმარი ფანჯარას მოშორდა და წამოიმართა:

— იწვიმებს, ნამდვილად იწვიმებს!

ბაირამმაც ახედა ცას.

— ჰო, ბერხოხზე რომ ღრუბლები აიშლებიან, აუცილებლად იწვიმებს, მშენებლები უნდა გავაფრთხილო, კლუბის კედლებს ტოლი დააფარონ.

ბორსამ კიდევ გადახედა ყაზის სახლს და იკითხა:

— ნეტავი თუ ხედავს ყაზი, საწვიმრად რომ ემზადება?

— სახურავი არ ეყო. ქალაქში მეთხოვებოდა. ალბათ წავიდა.

— ახლა რას იზამს?

— როგორ რას იზამს?

— წვიმა კედლებს არ ჩამოურეცხავს?

— მე რა ვუყო? — წარბები შეიჭმუხნა თავმჯდომარემ.

— გადახურვაა საჭირო!

ბაირამს ბორსას სიტყვები არ ესიამოვნა.

— გადახურვაო? — ბაირამი ბორსას წინ გაჩერდა, — მე მისი საკითხი გამგეობაზე უნდა გავიტანო, თქვენ კი, ამხანაგო ინსტრუქტორო...

— თქვენი ნებაა, გაიტანეთ, მაგრამ სახლი არ უნდა დაინგრეს.

— გაიხედე, გაიხედე, სადაც არის ცა პირს მოიხსნის...

ბაირამმა სტუმარს თვალი თვალში გაუყარა:

— სახურავი რომ ჰქონოდა, თვითონაც დაიფარებდა.

— მაპატიე, ბაირამ, შენ უფროსი ხარ, მეტი გინახავს და იცი. მაგრამ აბა დაფიქრდი, ყველა კოლმეურნე ხომ ერთი დიდი ოჯახის წევრია. ყაზი სახლს იშენებს. განა მარტო თავისთვის იშენებს? მგონი არა. კოლმეურნეობა უნდა დაეხმაროს. ვიმეორებ, ის თუ დამნაშავეა, უნდა დაისაჯოს. სახლი კი არ უნდა დაინგრეს. ამბობ, სახურავი არა აქვსო? აგერ კლუბის სახურავი.

ამ სიტყვების გაგონებაზე ბაირამი ისე შეხტა, როგორც სიმინდის მარცვალი ცხელ ტაფაზე. ერთი კი მოიხედა უკან:

— პარტორგანიზაციის მდივანი რომ გინდოდა, კომბაინთან არის, — მიაძახა სტუმარს და აღარც გაჩერებულა, სახეზე ღიმილი აუთამაშდა და გარეთ გავიდა.

• • •

შარაზე სატვირთო მანქანა მიქროდა და უკან მტვრის ბუღს ტოვებდა. მძღოლის გვერდზე მჯდომ ყაზის მოსვენება არ ჰქონდა.

— მოუმატე. ძმობილო. მოუმატე სიჩქარეს! აი დედასა, ერთ საათში გადავხურავდი, ეს კრამიტი იქ რომ მქონოდა. დიდი გზიდან რომ მინდვრის ოღროჩოღროებზე გადაუხვიეს, მანქანის ძარიდან გრუხუნი მოისმა.

— ესღა მაკლდა ახლა! — ყაზიმ ხელი სტაცა მძღოლს მკლავში.

მანქანამ ჯერ სვლას უკლო, მერე სულაც გაჩერდა. ყაზი ძარაზე შეხტა. ერთი პირი კრამიტი გადმონგრა და ძარაში ნამსხვრევებად იქცა. პატრონს გულს შემოეყარა, მაგრამ თავსხმევით ძალა არ იყო.

კარი შეხუთულიყო, სწორედ ისე, დიდი ავდრის წინ რომ იცის. ყაზიმ თავის სოფლისკენ გაიხედა, იქით ცა ჯერ მოწმენდილი ჩანდა, მაგრამ ეს სულაც არ ამშვიდებდა.

— წადი, წადი! ზარალი და ხარჯებელი ძმები არიან. რაც არის არი! — ჩასძახა კაბინაში მყოფ მძღოლს მაღლიდან.

მანქანა დაიძრა. ცოტა რომ გაიარეს, ძარაში მყოფ ყაზის თვალი მოსჭრა ცის გაელვებამ. ელვას ქუხილი მოჰყვა, ქუხილს კოკისპირული წვიმა.

— ჩამო კაცო, კაბინაში დაჯექი! — ეძახის მძღოლი ყაზის.

ვითომ არც გაუგონია.

— წყალწაღებულს დასველებისა აღარ ეშინია, — როდის როდის ამოსცრა ყაზიმ.

მანქანის ძარაში წვიმის წყალი ჩადგა.

წყლის ზედაპირზე გაჩენილ ბუშტებს გაოგნებული დაჰყურებს ყაზი. ბავშვი რომ ყოფილიყო, ცქერით არ გაძღებოდა. — „ასეა აბა. კაცის ოცნებაც ხანდახან ამ ბუშტებივით არის. გასკდება ბუშტი, და ვითომ არც ყოფილა წყლის გუბეზე... ყველაფერი დამთავრებულია... აქამდე ჩემი სახლის კედლები დანგრეული თუ არა, ჩამორეცხილები მაინც იქნება". სახლის დარდმა წაართვა თავი ყაზის. ფიქრებიდან მაშინ გამოერკვა, მანქანა ახალ კარმიდამოში რომ შევიდა. სახლისთვის შეხედვა არ უნდოდა.

საიდანღაც პატარა ბიჭი გადმოხტა ჭინკასავით და მძღოლს მიუჯდა გვერდით, გინდა თუ არა, საჭე დამაჭერინეო.

— „სასწაულს რომ იტყვიან, ის არის სწორედ", — თვალებს არ უჯერებს სახლის პატრონი.

— ვინ გადახურა, შვილო, ხახლი? — ეკითხება ბავშვს.

— კლუბის მშენებლებმა. ბაირამი და კიდევ ერთი სტუმარიც იყვნენ აქ, მიაძახა ბავშვმა. მამამ ხელი გაიწმინდა და ძარაზე აიტაცა.

— როგორღა ვეჩვენო ახლა თავმჯდომარეს? ნეტავ, ფეხი მომტეხოდა და დღეს ქალაქში არ წავსულიყავი — ფიქრობს ყაზი და არ იცის, რა მოიმოქმედოს... უცბად რაღაც მოაგონდა და მძღოლს შესძახა:

— თუ ძმა ხარ, ბარემ ეს აგურიც დავუდოთ, კლუბთან მივიტანოთ.

• • •

ცარგვალი წყნარ ზღვას დაემსგავსა. კიდეები ისე ახლოს მოჩანან, თითქოს ეგ არის მთის მწვერვალებზე ყოფილიყვნენ დაბჯენილნი. გუშინდელი წვიმით ჩამორეცხილი მწვერვალები მზის პირველ სხივებზე ათინათობდნენ.

ფოთლებზე დაკიდებული წყლის წვეთები ბროლის ნამსხვრევებივით ბზინავდნენ ამომავალი მზის სხივებზე. ჩანს მომავალი კლუბის ჯერ კიდევ დაუმთავრებელი კედლები.

თავმჯდომარე, რაიკომის ინსტრუქტორი და კიდევ რამდენიმე ახალგაზრდა კალატოზი კლუბისკენ მიდიან. ბაირამმა კლუბთან ხალხი შენიშნა. გუშინდელთან შედარებით ერთი კედელი რატომღაც უფრო მაღალი ეჩვენა.

— ვინ არიან? აგური არ იყო და რითი აშენებენ? — გაკვირვებით იკითხა თავმჯდომარემ.

— ყაზის ოჯახია დიდიან პატარიანად, — უპასუხა ერთმა.

— ძალიან კი უმარჯვნიათ, ალბათ ღამიანად გამოვიდნენ.

ბორსამ ბაირამს გადახედა და ულვაშებში ჩაეცინა.

— გამოიდარა, ბაირამ, რას იტყვი?

— ჰო, გუშინდელ წვიმას კარგი ამინდი მოჰყვა, — თქვა თავმჯდომარემ და სუფთად გაპარსული ნიკაპი ნერვიულად მოისრისა.

ოსურიდან თარგმნა

**ივანე ბაგაევმა.**



## ცეკვავს „სიმდი"

საბჭოთა ქვეყნის მრავალ მოკავშირე რესპუბლიკაში, ოლქსა თუ სამრეწველო ქალაქში, რაიონსა თუ მუშათა დაბაში ხშირად უნახავთ რეკლამა „სამხრეთ ოსეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი „სიმდი". კონცერტებზე დამსწრენი მართლაც ბევრი ყოფილან, კონცერტს დიდი წარმატებით ჩაუვლია. მაყურებელი ანსამბლის ხელოვნებით დამტკბარი, კმაყოფილი დაბრუნებულა შინ.

ასე ყოფილა მოსკოვში, ლენინგრადში, სვერდლოვსკში, შორეულ აღმოსავლეთსა და ციმბირში, მოლდავეთსა და ყუბანში... ასე ყოფილა ამიერკავკასიის რესპუბლიკებში, ჩვენს მშობლიურ საქართველოში. ასეა ახლაც როცა კი „სიმდი" გასტროლებზე იმყოფება თავისი მშობლიური ოლქის გარეთ. მაგრამ „სიმდს" თაყვანისმცემლები როდი აკლია თვით სამხრეთ ოსეთშიც. მშრომელებმა გულით შეიყვარეს თავიანთი ეროვნული ანსამბლი.

„სიმდის" წარმატებანი შემთხვევითი როდია. მას ჰყავს გამოცდილი, შემოქმედებითი ენერგიით ალსავსე სოლისტები, ნიჭიერი ახალგაზრდა მოცეკვავეები, ისინი ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ ანსამბლის წარმატებებს ხორცი შეასხან.

მაგრამ მარტო ეს როდია „სიმდის" წარმატებათა წინამორბედი. ანსამბლს მდიდარი რეპერტუარი აქვს. იგი საუკეთესოდ ასრულებს ოსურ, ქართულ და რუსულ სიმღერებსა და ცეკვებს, მოძმე ერების ხალხური ხელოვნების ნიმუშებს.

მალე „სიმდი" საგასტროლოდ გაემგზავრება ჩვენი დიადი ქვეყნის სამრეწველო ცენტრებში. ეჭვი არ არის, რომ სამხრეთ ოსეთის მშრომელთა დიდი დღესასწაულის დღეებში კიდევ უფრო გამდიდრდება ანსამბლის რეპერტუარი.

**მ. შავლოხოვი,**

„სიმდის" მხატვრული ხელმძღვანელი.



სურათზე: სამხრეთ ოსეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი ასრულებს ცეკვა „სიმდს".

ლ. გუსოვის ფოტო.



## ცენტრალური მატჩის მოლოდინში

პრაღაში მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების დამთავრებამდე ხუთი მატჩიღა დარჩა, მაგრამ ოქროს მედლების საკითხი ჯერ კიდევ ბურუსით არის მოცული. ბევრი რამ არის დამოკიდებული დღევანდელ შეხვედრაზე სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ჰოკეისტთა ნაკრებ გუნდებს შორის. სწორედ ეს გუნდები განაგრძობენ ბრძოლას დაუმარცხებლად და უახლეს მეტოქეს ქულათა თვალსაჩინო რაოდენობით უსწრებენ. შვიდ-შვიდი მოგება, თითო ფრე და არც ერთი დამარცხება — აი მათი ბალანსი დღეისათვის. მხოლოდ გატანილი და მიღებული შაიბების უკეთესი სხვაობით დგას სატურნირო ცხრილის სათავეში საბჭოთა ნაკრები.

რა თქმა უნდა, მეტოქეებს კარგად ესმით დღევანდელი შეხვედრის მნიშვნელობა. უნდა მოველოდეთ უკომპრომისო ბრძოლას, ჭეშმარიტად დიდ ჰოკეის. სპორტის მოყვარულებს კარგად ახსოვთ ამ გუნდების პირველი წრის მატჩი, მისი შედეგი — 3:3.

როგორც ვიუწყებოდით, მორიგ ტურში ჩეხოსლოვაკიელებმა სძლიეს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდს 8:1 და აქტივში კიდევ ორი ქულა ჩაიწერეს. მოგვიანებით კი მსოფლიოს ჩემპიონებმა — საბჭოთა ჰოკეისტებმა მოუგეს შვეიცარიის გუნდს 14:0. 19 აპრილს შედგა ორი მატჩი. შვედები თამაშობდნენ დასავლეთგერმანელ ჰოკეისტებთან, ფინელები — შვეიცარიის ნაკრებთან. სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდები ამ დღეს ისვენებდნენ.

აი როგორ გამოიყურებოდა მეტოქეთა სატურნირო მდგომარეობა 19 აპრილისათვის.

**გათამაშების ცხრილი**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | შ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| სსრ კავშირი | 8 | 7 | 1 | 0 | 73-11 | 15 |
| ჩეხოსლოვაკია | 8 | 7 | 1 | 0 | 61-12 | 15 |
| შვეცია | 7 | 4 | 0 | 3 | 35-24 | 8 |
| ფინეთი | 7 | 2 | 0 | 5 | 31-35 | 4 |
| გფრ | 8 | 1 | 0 | 7 | 16-68 | 2 |
| შვეიცარია | 8 | 1 | 0 | 7 | 17-83 | 2 |

## ბელგრადში გამგზავრების წინ

როგორც ცნობილია, 30 აპრილს ბელგრადში სსრ კავშირის ფეხბურთელ თა ნაკრებს ევროპის ჩემპიონატის პირველი მეოთხედფინალური შეხვედრა ექნება იუგოსლავიის გუნდთან. ამიტომ გუშინდელი საერთაშორისო მატჩი კიევის ცენტრალურ სტადიონზე პერუსა და ჩვენი ქვეყნის ნაკრებ გუნდებს შორის საბჭოთა ფეხბურთელებისათვის ძალთა უკანასკნელი შემოწმება, გენერალური რეპეტიცია იყო.

პერუს ნაკრები ჩვენს ქვეყანას პირველად ეწვია. მაგრამ საბჭოთა და პერუელი ფეხბურთელები ადრე უკვე შეხვედრიან ერთმანეთს. მაგალითად, მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატის წინ ლიმაში ამ გუნდებმა ორი მატჩი გამართეს. პირველი თამაში დამთავრდა ფრედ 0:0, მეორე — საბჭოთა ფეხბურთელების გამარჯვებით 2:0. იმ შემადგენლობიდან პერუს ახლანდელ გუნდში მხოლოდ ოთხი მოთამაშე დარჩა, დანარჩენები კი ახალგაზრდა ფეხბურთელები არიან.

გუშინდელმა მატჩმა კიევში დიდი ინტერესი გამოიწვია. ორივე ტაიმი საბჭოთა ფეხბურთელების უპირატესობით აღინიშნა. ისინი სჯობნიდნენ მეტოქეს სისწრაფეში, კარზე იერიშებში. ანგარიში საბჭოთა ფეხბურთელებმა გახსნეს. ეს მოხდა მე-14 წუთზე. გოლის ავტორი ბანიშევსკი იყო. 4 წუთის შემდეგ კონკოვმა მეორე ბურთი გაიტანა, ამის შემდეგ ანგარიში არ შეცვლილა, გაიმარჯვეს საბჭოთა ფეხბურთელებმა 2:0.

## რამდენიმე სტრიქონით

● **როტერდამში** დამთავრდა ევროპის გუნდური ჩემპიონატი მაგიდის ჩოგბურთში. ვაჟთა შორის პირველობა კვლავ შვედებს ხვდათ. საბჭოთა გუნდმა მეექვსე ადგილი დაიკავა. ქალთა გუნდებს შორის საპრიზო ადგილები ასე განაწილდა — უნგრეთი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, სსრ კავშირი. გუშინ დაიწყო პირადი ასპარეზობა, რომელიც 22 აპრილამდე გაგრძელდება.

● „ა" კლასის პირველი ჯგუფის ფეხბურთელთა გუნდების უმრავლესობამ საკავშირო ჩემპიონატზე სამი ტური განვლო. მეოთხე ტურის შეხვედრები გაიმართება 21 აპრილს. ქუთაისის ტორპედოელებს ამჯერადაც საკუთარ მოედანზე ექნებათ თამაში. მათი მეტოქე იქნება დუშამბეს „პამირი", რომელსაც 3 თამაშიდან 2 ქულა აქვს და სატურნირო ცხრილში მეთექვსმეტე ადგილი უჭირავს. აი ლიდერთა სამეული — ოდესის „ჩერნომორეცი" (3 თამაშიდან 5 ქულა), დონეცკის „შახტიორი" (6-დან 5 ქულა) და ქუთაისის „ტორპედო" (4-დან 4 ქულა).

## ტელევიზია

### 20 აპრილი

**პირველი პროგრამით**

11.05 — სატელევიზიო ფილმი — „წარმოშობით კომკავშირელი", 11.35 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. მხატვრული ფილმი — „მარადისობის ელჩები, 13.05 — „მუსიკალური აფიშა" (გადმოცემა მოსკოვიდან), 14.00 — „პროდუქცია და მომხმარებელი" — სატელევიზიო ნარკვევი (გადმოცემა მინსკიდან), 17.05 — აბიტურიენტთა დასახმარებლად — ლექცია ქიმიაში, 17.50 — ბავშვებისათვის — „მოკლემეტრაჟიანი ფილმი", 18.10 — ფილოსოფიის შემსწავლელთა დასახმარებლად, 18.30 — განცხადებები, 18.35 — „პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებები — მოქმედებაში". გადაცემა ციკლიდან — „მეხუთე დღე", 19.00 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. — „პალიტრა", 19.30 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 19.55 — ფერადი ტელევიზია. მსოფლიო ჩემპიონატი ჰოკეიში, საბჭოთა კავშირი-ჩეხოსლოვაკია (გადმოცემა პრაღიდან), 22.15 — „ვრემია" საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.45 ფერადი ტელევიზია. ფეხბურთი თასის მფლობელთა თასზე. „დინამო" (მოსკოვი) — „დინამო" (ბერლინი). გადმოცემა ლვოვიდან, 00.15 — ფერადი ტელევიზია მსოფლიო ჩემპიონატი ჰოკეიში. შვეცია-ფინეთი. მეორე და მესამე პერიოდი (გადმოცემა პრაღიდან).

**მეორე პროგრამით**

18.20 — კინონარკვევი, 19.05 — სკოლების დასახმარებლად — ქიმია (მჟავეებისა და ფუძეების სწავლება პროტოლითური თეორიის თვალსაზრისით), 19.50 — განცხადებები, 19.55 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია მხაზველობით გეომეტრიაში, 20.55 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია მასალათა გამძლეობაში, 21.25 — მხატვრული ფილმი — „იმ დღეებში".

### 21 აპრილი

**პირველი პროგრამით**

11.05 — დოკუმენტური ფილმი „პარიზი — ლენინის პროსპექტი", 12.15 — მხატვრული ფილმი „იმ დღეებში", 13.30 — კონცერტი (გადმოცემა მოსკოვიდან), 16.20 — აბიტურიენტთა დასახმარებლად — ლექცია ქართულ ენაში, 17.05 აბიტურიენტთა დასახმარებლად — ლექცია ფიზიკაში, 17.50 — ახალი ამბები, 17.55 — განცხადებები, 18.00 — ვ. ი. ლენინის დაბადების 102-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა და კონცერტი. ტრანსლაცია კრემლის ყრილობათა სასახლიდან (გადმოცემა მოსკოვიდან), 21.10 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 21.35 — კინონარკვევი, 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — მხატვრული ფილმი „თოფიანი კაცი".

**მეორე პროგრამით**

18.20 — სკოლების დასახმარებლად — რუსული ენა და ლიტერატურა (ლენინის თემა უახლეს საბჭოთა ლიტერატურაში), 19.05 — სკოლების დასახმარებლად — ზოგადი ბიოლოგია (ადამიანის ევოლუციის ეტაპები და ფაქტორები), 19.50 — განცხადებები, 19.55 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია თეორიულ მექანიკაში, 20.55 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია სკკპ ისტორიაში, 21.40 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. დოკუმენტური ფილმი „ტურისტული მატარებელი", 22.00 — მხატვრული ფილმი „მარადისობის ელჩები.

**რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ**

რედაქტორი

**დ. მჭედლიშვილი.**

კომუნისტი

380008 თბილისი-8. ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99-08-09, პ/მგ მდივნის — 99-72-80, სამდივნო — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის — 99-60-21, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС [illegible] უე 02571 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14.